ბ. პოლევოი, ნ. ეუკოვი



ბევნი ლენინი

საქართველოს სსრ
ბავშვთა და ახალგაზრდობის ლიტერატურის
სახელმწიფო გამომცემლობა
„ნაკადული"
19 თბილისი 63

ამ წიგნის მკითხველს

ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მარად ცოცხალი, მარად უჭკნობი და მომხიბლავი სახე ადამიანთა ხსოვნაში უკვე ლეგენდის ნისლით იბურება. ლენინზე არის სიმღერები, არის თქმულებები. ლენინი შესულია მსოფლიოს მრავალ ხალხთა ფოლკლორში. ამიტომ, როგორი იყო ვლადიმერ ილიჩი ცხოვრებაში, კიდევ უფრო ძნელი წარმოსადგენი ხდება.

ამ პატარა წიგნის ავტორები— მწერალი და მხატვარი—შეეცადნენ ვლადიმერ ილიჩის სახე გამოეხატათ ისე, როგორც ის ამხანაგებს ჰყავდათ წარმოდგენილი — მათ, ვისთანაც თავის საგმირო შრომებს, რევოლუციური ბრძოლის, ციხის, იატაკქვეშეთის, გადასახლებისა და ემიგრაციის წლების სიმძიმეებს იზიარებდა იგი. მათ, ვისთანაც

ხელიხელჩაკიდებული მიდიოდა ოქტომბრის დღეებში, სამოქალაქო ომისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წლებში.

ჩვენ გვსურდა დაგვეხატა იგი ისეთი, როგორიც ახსოვთ მუშებს, გლეხებს, წითელარმიელებსა და ინტელექტუალური შრომის ადამიანებს ილიჩის ცნობილ მისაღებ ოთახში, მოედნებზე — მიტინგების დროს, ქარხნის საამქროებსა თუ მუშათა კლუბებში, ისეთი, როგორიც ის წარსდგებოდა უცხოელთა წინაშე, რომლებიც განწყობილნი იყვნენ მეგობრულად თუ მტრულად.

ხელოვნების ადამიანებისათვის არ არსებობს უფრო წარმტაცი ამოცანა, ვიდრე ამ უაღრესად დიდი პიროვნების სახის აღდგენაა, რომელიც სიკვდილის შემდეგაც იპყრობს მილიონობით ადამიანთა გულებს. ავტორებს ფასდაუდებელი დახმარება გაუწიეს ვლადიმერ ილიჩის ახლო ნაცნობებმა, ძველი ბოლშევიკური გვარდიის წევრებმა, ესენი არიან აწ განსვენებული ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩი, გ. მ. კრჟიჟანოვსკი, უფროსი თაობის ბოლშევიკები — რომლებიც დღესაც ცოცხალნი არიან — ლ. ა. ფოტიევა, ე. მ. სოლოვეი და ასევე საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობის მოღვაწეები — ჩეხოსლოვაკიის აწ განსვენებული პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი და ოქტომბრის რევოლუციის მონაწილე, ცნობილი ამერიკელი პუბლიცისტი ალბერტ რის ვილიამსი, რომელმაც ოდესღაც დასავლეთის მკითხველთათვის დაწერა პირველი მართალი წიგნი ვლადიმერ ილიჩზე.

ჩვენი წიგნის ნახატები არ წარმოადგენს ილუსტრაციებს, იგი დამოუკიდებელი მხატვრული მასალაა. და თუ ტექსტის ავტორი თხრობისას არ მისდევს ქრონოლოგიურ მასალას, ნახატების ავტორი ცდილობს თანმიმდევრულად ასახოს ძვირფასი სახე იმ წლიდან მოყოლებული, როდესაც ვალოდია ულიანოვი იყო გიმნაზიელი, იმ დღემდე, როდესაც ვლადიმერ ილიას ძე ლენინი გახდა მსოფლიოში პირველი მშრომელთა სახელმწიფოს ხელმძღვანელი, მსოფლიო პროლეტარიატის აღიარებული ბელადი.

ყველაფერი, რასაც თქვენ აქ წაიკითხავთ და იხილავთ, ეყრდნობა ფაქტებს, დოკუმენტებს, მოგონებებს. ავტორები არ ცდილან

შეეთხზათ ან გამოეტანათ რაიმე ზედმეტი დასკვნები. ჩვენ მადლობელი ვართ გ. დ. ობიჩკინის, ვ. ი. ზევინის, დ. ს. კისლიკის, ზ. ა. ლევინისა და მეცნიერების სხვა მუშაკებისა, რომლებმაც მოგვაწოდეს ფასდაუდებელი მასალები და თავიანთი მეგობრული რჩევით დიდი დახმარება გაგვიწიეს.

და თუ თქვენ, ნორჩო მკითხველებო, ეს წიგნი დაგეხმარებათ წარმოიდგინოთ, როგორი იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, ჩვენ ორივე — მხატვარი და მწერალი — ასწილად დაჯილდოებული ვიქნებით შრომისათვის.

ავტორები

ლენინის სახე

ენინის პორტრეტის დახატვა ძნელი საქმეა, ვინაიდან ეს ადამიანი, შთაგონებული თავისი დიდი საქმეებით, მოგვევლინა ლეგენდების ნისლში გახვეულ ზღაპრულ გოლიათივით, ცხოვრებაში კი თავმდაბალი და მეტისმეტად უბრალო იყო. გარეგნობა ისეთი არ ჰქონდა, რომ თვალში მოგხვედროდათ. გარშემომყოფთაგან არ გამოირჩეოდა არც თავისი ჩაცმულობით, არც ქცევით, სძულდა პოზიორობა და მედიდურობა.

ლენინი! ამ სახელის ხსენებაზე ადამიანებს უბრწყინდებოდათ თვალები. ლენინი! და გული მასთან შეხვედრის მოლოდინში სიხა-

არდადეგებზე.

რულისაგან თრთოდა. და აი, მის წინ იდგა ტანდაბალი, მხარბეჭიანი კაცი, უბრალო, შავგვრემანი, ცოცხალი სახით, იღიმებოდა იგი და ეს ღიმილი თითქოს მუდამ სადგურობდა მის ბაგეებზე, წითურ მოკლედშეკრეჭილ ულვაშებსა და თხელ წვერს შორის. განცვიფრებას იწვევდა მისი ღუღუნა, ყრუ ბარიტონის, ჩქარი და მტკიცე ლაპარაკი, სწრაფი მოძრაობა და, რა თქმა უნდა, ისიც, რომ ლენინი, რა გარემოშიაც არ უნდა მოხვედრილიყო, თავისთავადი იყო.

მაგრამ, ლენინის შემყურე ადამიანი ვერ ასწრებდა მისი გარეგნობით განცვიფრებას, უკვე ამჩნევდა, რომ მას ჰქონდა შორიშორს ჩამჯდარი მუქი თაფლისფერი, მოჭუტული და თითქოს ახლომხედველი თვალები, რომ ისინი ყველაფერს ამჩნევენ. შემდეგ თვალში ეცემოდა მაღალი შუბლი, ბრძენის შუბლი. გარეგნობა, საერთოდ, უკვე მეორე პლანზე გადადიოდა. ყურადღებას იპყრობდა მისი ბუ-

ნებრივი ქცევა, ცხოველი თხრობა, გონებამახვილობა. ადამიანი, რომელიც პირველად ჩვეულებრივი ეჩვენებოდა, თითქოს შეუმჩნევლად იწყებდა მის თვალწინ ზრდას. და თანამოსაუბრე, ანდა მსმენელი, ან უბრალოდ შორიდან მაყურებელი, თავისდა შეუმჩნევლად იხიბლებოდა ლენინით.

სწორედ ასეთი შთაბეჭდილება რჩებოდა ვლადიმერ ილიჩთან პირველი შეხვედრის დროს იმას, ვისაც წილად ხვდა ბედნიერება, სიცოცხლეში ენახა იგი.

ბაღში. სიმბირსკი.

იგი იყო ბელადი, ასეთი ბელადი ჯერ არ ახსოვს კაცობრიობას.

იგი იყო უაღრესად შორსმჭვრეტელი თეორეტიკოსი და ცხოვრების უდიდესი მცოდნე, მამაცი, ღრმა მეცნიერი და მგზნებარე ტრიბუნი, რომელსაც შეეძლო ხალხის მოხიბვლა, ბრძენი მოღვაწე, სახელმწიფოთა მომავლის ბედის მჭვრეტელი და უბრალო, კეთილი, გულისხმიერი, რომელიც მუდამ მზად იყო სულითა და გულით დახმარებოდა ადამიანებს.

მასებისადმი რწმენა

ლენინი ვერ იტანდა იმ თანამშრომლებს, რომლებიც მასებს ქედმაღლურად დაჰყურებდნენ. მას სწამდა, რომ მასებს ჰქონდათ შემოქმედებითი ძალისა და ინიციატივის გამოჩენის უნარი. იგი შეუსვენებლივ სწავლობდა და იზიარებდა მათ გამოცდილებებს. ამის ცოცხალი მაგალითია პირველი კომუნისტური შაბათობა. არსებითად ეს იყო პატარა საქმე, მაგრამ მასში, ამ პირველ შაბათობაში, ლენინმა უკვე დაინახა იმ გრანდიოზული მოძრაობის მარცვალი, რომელიც მისი გარდაცვალებიდან რამდენიმე წლის შემდეგ გადაიქცა დამკვრელთა საკავშირო ლაშქრობად, შემდეგ სოციალისტურ შეჯიბრებად, რაც კიდით კიდემდე მოედო მთელ ჩვენს ქვეყანას და ბოლოს, დღეს, კომუნისტური შრომის უდიადეს მოძრაობად.

მშრომელი მასების შემოქმედებითი ძალების ეს ლენინური რწმენა, უპირველეს ყოვ-

ლისა, განასხვავებდა მას, როგორც მუშათა მოძრაობის ბელადს. იგი ჯერ კიდევ იმ დღეებში ჩაისახა, როცა ნორჩი მარქსისტი გატაცებით გამოდიოდა პიტერის გარეუბნის მუშათა წრეებში. ეს რწმენა, რომელიც ცხოვრების ცოდნიდან გამომდინარეობდა, შესაძლებლობას აძლევდა ღრმად გაეაზრებინა რევოლუციური სტიქია და მისი აბობოქრებული ძალები პროლეტარული რევოლუციის გარკვეული კალაპოტისაკენ წარემართა.

ბევრნი, ვინც წლების მანძილზე ახლოს იცნობდნენ ლენინს იგონებენ და ხაზს უსვამენ მუშათა და გლეხთა ფართო მასებისადმი მისი დამოკიდებულების ამ შემოქმედებით მხარეს. მშრომელთა ტანჯვა მწვავე ტკივილებს იწვევდა მის მგრძნობიარე გულში. მაგრამ ეს არ იყო ცრემლიანი თანაგრძნობა. არა, ეს იყო ნამდვილი გრძნობა და მას ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული. ექსპლუატირებულსა და დაბეჩავებულში იგი, უპირველეს ყოვლისა, გამოარჩევდა ექსპლუატაციისა და დამონების წინააღმდეგ მებრძოლთ, ახალი საზოგადოების მომავალ მშენებლებს, იმ კლასის წარმომადგენლებს, რომლებსაც ბოლო უნდა მოეღოთ დედამიწაზე ყოველგვარი ექსპლუატაციისათვის.

ლენინი მუდამ ისწრაფოდა გაეგო, რითი ცხოვრობენ, რას ფიქრობენ, რაზე ოცნებობენ მშრომელები. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მუდამ ცდილობდა გამოლაპარაკებოდა უბრალო ადამიანებს, გამოკითხავდა მათ ცხოვრების ამბავს, როგორც იტყვიან, აიძულებდა კაცს გული გადაეშალა. ამას აკეთებინებდა განა უბრალო ცნობისმოყვარეობა, არა! იგი ამ გზით ეცნობოდა ცხოვრებას.

შემდგომ, როცა შეისწავლიდა სტატისტიკურ მონაცემებს, სისტემაში მოჰყავდა, უპირისპირებდა, ანალიზს უკეთებდა და ციფრებს იქით ხედავდა ცოცხალ ადამიანებს — მუშებს, გლეხებს, ინტელიგენტებს, ხედავდა მათ ბედ-იღბალს.

ეს დიდი სურვილი, სცოდნოდა რით და როგორ ცხოვრობს ხალხი, გაეგო მათი მუშაობის პირობები, ყოფა-ცხოვრება, არ ასვენებდა ცხოვრების უმძიმეს პერიოდშიაც — მწვავე კლასობრივი ბრძოლების უმძიმეს დღეებშიაც...

გაკვეთილი.

ძმის დაღუპვის წელი.

1907 წელი. პარტიის ლონდონის ყრილობა. მრისხანე ბრძოლის დღეები. ვლადიმერ ილიას ძე დაჟინებით ამტკიცებს, რომ მუშათა პარტია უნდა შეიარაღდეს მოწინავე თეორიებით. მენშევიკებმა გამოიყვანეს თავიანთი საუკეთესო ორატორები და თავს დაესხნენ მას, აკრიტიკებენ, ლანძღავენ, აგინებენ: აქ მიმდინარეობს მუშათა პარტიის ყრილობა და არა თეორიული დისკუსია. ლენინი უნდა მოემზადოს ახალი გამანადგურებელი კონტრშეტევისათვის. მაგრამ შესვენებამ მოუსწრო. და აი, იშოვა თავისუფალი დრო, დგას კუთხეში მუშა-დელეგატებს შორის და ეკითხება მათ:

— აბა, ქალები როგორღა არიან? ოჯახმა შეიკლა? მაინც თუ სწავლობენ, კითხულობენ?

კონკრეტული სინამდვილიდან ახლის მოპოვების დაუცხრომელი მისწრაფება, ცხოვრების მძაფრი განვითარების დაკვირვებით თეორიული წყობის შემოწმება, ადამიანებთან ყოველი ახალი საუბრისას თავისი აზრის დაზუსტება ახასიათებს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის მთელ შემოქმედებას. შორეული ციმბირის გადასახლებაში და შემდეგ ემიგრაციაში მყოფმა ლენინმა უკეთ და უფრო ღრმად იცოდა თავისი ქვეყნის კონკრეტული ცხოვრება, ვიდრე ბევრმა ინ რევოლუციონერმა, პეტერბურგში, მოსკოვსა და მსხვილ ინდუსტრიულ ცენტრებში რომ ცხოვრობდნენ.

კრებაზე.

ასწავლო მასებს და ისწავლო მასებისაგან

ლენინი ასწავლიდა მასებს და სწავლობდა მასებისაგან. ამ უბრალო ფორმულაში, რომელიც წარმოადგენს მთელი მისი ყოვლისშემცველი მოღვაწეობის კანონს, იფარება ლენინის ხელმძღვანელობის უნარი და მას საშუალებას აძლევს შეუცდომლად შეიცნოს მშრომელთა ჭეშმარიტი მისწრაფება, ამოხსნას მათი წინსვლის კანონზომიერება, განსჭვრიტოს ისტორიულ მოვლენათა განვითარება. ამაშია მისი უნარის საიდუმლოება, ჩვეულებრივ თვალთაგან უხილავ ბრავალ ბილიკსა და გზას შორის ამოარჩიოს ერთადერთი სწორი გზა, გამოიცნოს ახლადჩასახული მოვლენის არსი და ამ არსს დროულად მიაქციოს პარტიის ყურადღება.

რა დატვირთულიც არ უნდა ყოფილიყო ლენინი, ყოველთვის გამონახავდა დროს ხალხთან ურთიერთობის დასამყარებლად. საბჭოთა ხელისუფლების პირველსავე დღეებში, როდესაც სათავეში ჩაუდგა მსოფლიოში პირველ მშრომელთა სახელმწიფოს, — იმპერიალისტური ომით დანგრეულ, დაუძლურებულ სახელმწიფოს, რომელსაც თითქმის მაშინვე თავს დაატყდა სამოქალაქო ომიც, როცა ლენინს ზურგზე დააწვა მძიმე ტვირთი, იგი მუდამ ახერხებდა ერთი საათი, ან თუნდაც რამდენიმე წუთი გამოენახა მუშებთან და გლეხებთან გასასაუბრებლად. ხშირად ძილისა და დასვენებისათვის განსაზღვრულ დროს მუშებთან და გლეხებთან საუბარში ატარებდა ხოლმე. როგორც ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია იგონებს, მას უყვარდა მუშები. „...მათ განსაკუთრებული ხალისით ესაუბრებოდა ახლობელზე, სანუკვარზე, განსაკუთრებით დიდად აცვალებდა მათ აზრს.“

ფუსიკა.

ასე იქცეოდა მთელი მისი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე და განსაკუთრებით მაშინ, როცა საბჭოთა მთავრობის მეთაური გახდა.

ძველი პუტილოველი მუშა პ. ა. დანილოვი იგონებს ერთ საინტერესო შემთხვევას. 1917 წლის გვიანი შემოდგომაა. კრასნოვი რევოლუციურ პიტერს უახლოვდება. ლენინის მოწოდებით ქარხნებში ყალიბდება წითელი გვარდიის რაზმები, რომლებიც დაუყოვნებლივ მიდიან ფრონტზე. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლის ყველაზე მწვავე პერიოდია. შუაღამეა. ორი მორიგე მუშა ზის საამქროში ღუმელთან და კარტოფილს ხარშავს ქვაბში. უცებ კარი შემოაღო ორმა მამაკაცმა — ერთს სამხედრო ფორმა აცვია, მეორეს, დაბალს, ჯმუხს, სამოქალაქო ტანსაცმელი — საყელოაწეული პალტო და კეპი. და ეს, რომელსაც სამოქალაქო ტანსაცმელი აცვია — ლენინია. იგი მიესალმა. ხელი ჩამოართვა ყველას, მიუჯდა ცეცხლს, გათოშილი ხელები მიაფიცხა და მაშინვე დააყარა კითხვები:

— როგორ უყურებენ პუტილოველები, ბოლშევიკებმა რომ ხელთ იგდეს ხელისუფლება?.. საერთოდ, როგორი განწყობილებაა ქარხანაში?.. რამდენი რაზმია ორგანიზებული და ფრონტზე გაგზავნილი?.. არის თუ არა ქარხანაში საწვავი? — და კვლავ დაჟინებით იმეორებს: — ჰო, ესე იგი, რაო, რას ამბობენ, ბოლშევიკებმა რომ ხელისუფლება ხელში ჩაიგდეს?

პასუხებს მთელი გულისყურით უსმენდა, თავს აქნევდა, თანამგზავრს გამარჯვებული შესცქეროდა, თაფლისფერ მეტყველ თვალებს არ აშორებდა — თითქოს ეუბნებოდა, აი, ხომ ხედავთ, რას ამბობს, რას ფიქრობს მუშათა კლასიო. ამ დროს ჩაი ადუღდა, კარტოფილიც მოიხარშა. მუშებმა დიდის მოკრძალებით შესთავაზეს, ჩამოჯექით ჩვენთან, ჩაი დალიეთო.

— სიამოვნებით, — უპასუხა ლენინმა.

მართლაც ჩამოჯდა რაღაც ყუთზე, უსმენდა მათ და თან დიდი სიამოვნებით შეექცეოდა ჩაის, კარტოფილს კი გაზეთზე დაყრილ მარილში აწებდა და ისე ჭამდა...

არსებობს მჭევრმეტყველი საბუთი, რომელიც გვიჩვენებს, რა ახლო ურთიერთობა ჰქონდა ვლადიმერ ილიას ძეს მშრომელ მასებთან. ეს საბუთი ეკუთვნის ლენინის მდივანს. მან ბარათი გადასცა ბელადს დაძაბული მუშაობის დროს. აი, რა ეწერა ამ ბარათში: „ვლადიმერ ილიჩ, უპარტიოთა კონფერენციიდან მოვიდა ორი დელეგატი მუშა-ქალი: კონფერენცია დაჟინებით მოითხოვს, რომ თქვენ თუნდაც ხუთი წუთით შეიაროთ მათთან, თორემ ვერაფერს გახდნენ. არ უნდათ სემაშკოს მოსმენა.

დელეგატები ამბობენ, თუ ლენინი ჩვენთან არ მოვიდა, ჩვენ, მუშა-ქალები, მთელ მასებთან ერთად კრემლში წავალთო. კონფერენცია იხურება რვა საათზე. ისინი პასუხს მოითხოვენ.“

და ამ ბარათის მინდორზე ლენინს ნაჩქარევად მოუწერია: „თუ ხუთი წუთით, მაშინ შემიძლია $2^3/_4$-ზე მივიდე, თუკი მოასწრებთ თურქეთის დელეგაციასთან შეხვედრის გადატანას“.

ბასრი იარაღი.

მშრომელებთან ურთიერთობა

ვამოანგარიშებულია, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ მარტო მოსკოვში ლენინი ორასზე მეტჯერაც კი გამოვიდა. იგი გამოდიოდა ქარხნებში, ფაბრიკებში, ქალების, ახალგაზრდობის, წითელარმიელების წინაშე, გარეუბნის სოფლებში გლეხთა კრებებზე. მუშათა განაპირა უბნებში იგი არა მარტო სასურველი, არამედ ხშირი სტუმარიც იყო. დედაქალაქის ლენინურ ადგილებს შორის განსაკუთრებით ღირსშესანიშნავი იყო „ტრიოხგორნი მანუფაქტურის“ მუშათა სასადილო. ახლა იქ კულტურის სახლი დგას. ვლადიმერ ილიას ძე აქ მხოლოდ გამოსვლით როდი კმაყოფილდებოდა. დიდხანს ესაუბრებოდა მუშებს, პასუხობდა მათ შეკითხვებზე.

თუ როგორ ტარდებოდა ეს შეხვედრები, ჯობს გავეცნოთ „პრავდის“ კორესპონდენტის ნაჩქარევად დაწერილ შენიშვნას, რომელიც გამოქვეყნდა 1919 წლის 20 დეკემბერს მომხდარი ამბების კვალდაკვალ:

„.....„პროხოროვკის“ სასადილო გაჭედილი იყო ხალხით. ხუთი ათასმა კაცმა მთელი დარბაზი და გასასვლელები დაიკავა. ყველგან, სადაც კი შეიძლებოდა დაჯდომა, ჩამოკიდება, ან რომელიმე სვეტზე ჩაბღაუჭება — ისხდნენ, ეკიდნენ და იყვნენ ჩაბღაუჭებულნი.

გამოჩნდა ილიჩი, ამხანაგი ლენინი... გაისმა აპლოდისმენტები და იგი ვერ ახერხებს სიტყვის თქმას. ყველანი ადგილებიდან დგებიან და ათასობით თვალი შესცქერის ილიჩს, ყველანი სმენად არიან გადაქცეულნი; სჯერათ მისი და ისე ენდობიან, როგორც არავის: ილიჩი ამბობს? — მაშასადამე, ეს ასეა. იგი ისე უყვართ, როგორც არავინ. აი, რატომ მიილტვის მისკენ ყველა“...

აი, როგორ გაატარა ვლადიმერ ილიას ძემ 1920 წლის პირველი მაისი: დილით იგი მონაწილეობდა შაბათობაში, შემდეგ კარლ მარქ-

ემიგრაციის წლები.

სის ძეგლის საძირკვლის ჩაყრაზე წარმოთქვა სიტყვა, მერე კი გამოვიდა ხალხმრავალ მიტინგზე, რომელიც მიეძღვნა განთავისუფლებული შრომის ძეგლის საძირკვლის ჩაყრას. იმავე დღეს იგი გამოვიდა ფეიქრებთან პროხოროვის ფაბრიკის მუშათა სასადილოში, რომელსაც დღეს „ტრიოხგორნაია მანუფაქტურა“ ეწოდება, და მშრომელთა მიტინგებზე ბაუმანისა და ზამოსკვორეცკის რაიონებში. იგი იმ საღამოსვე კვლავ გარეუბანში — ბლაგუშე-ლეფორტოვსკის რაიონშია, სადაც მუშათა სასახლე უნდა გახსნილიყო. ამ საზეიმო დღის დანარჩენი დრო კი მშრომელებთან გულითად საუბარში გაატარა.

ლენინთან მიღებაზე

ლენინის მისაღები მუდამ სავსე იყო ხალხით. აქ იყვნენ ფაბკომისა და ქარხკომის დელეგატები, შორეულ თემებიდან და მიყრუებულ მაზრებიდან წარგზავნილი გლეხი-ხოდოკები, ინტელიგენტები, რომლებიც ჩამოდიოდნენ რუსეთის ყოველი კუთხიდან, ჰქონდათ სათხოვნელი, ან რაღაც აოცებდათ და უნდოდათ მისი დადგენა, ანდა აპირებდნენ წინადადების მიცემას. ვლადიმერ ილიას ძე მუდამ პოულობდა მათი მიღების, მოსმენისა და მათთან საუბრის დროს.

ამხანაგები, რომლებიც იმ დროს ლენინთან მუშაობდნენ, იგონებენ, რომ უბრალო, უშუალო ურთიერთობას ხალხთან ლენინი განსაკუთრებულ, შეიძლება ითქვას, პრინციპულ მნიშვნელობას ანიჭებდა. ის ყოველთვის ყურადღებით უსმენდა მუშას, გლეხს, პარტიის რიგით წევრს, ღრმად ჩასწვდებოდა საქმის არსს და იქვე გამოჰქონდა სათანადო გადაწყვეტილება.

მაგრამ მთავარს მაინც არ წარმოადგენდა კონკრეტული გადაწყვეტილება.

ყოველი მიღების დღის შემდეგ სხვადასხვა უწყებებში მიდიოდა ცნობილი ლენინური ბარათები. იგი მოითხოვდა — გააკეთეთ ესა და ეს, ესა და ესო.

მითითება ეძლეოდა სამდივნოს, კონტროლი გაეწია, რამდენად ხორციელდებოდა ესა თუ ის პრაქტიკული საქმე. სახკომებს ევალებოდათ სასწრაფოდ წარედგინათ თავიანთი მოსაზრება რომელიმე ამხანაგის მიერ წამოყენებული საკითხის შესახებ.

ეს არ იყო უშუალო იმპულსი. არა, ლენინი არ ივიწყებდა ამ საქმეს. რამდენიმე ხნის შემდეგ თვითონვე ამოწმებდა, როგორ სრულდებოდა ესა თუ ის დავალება, რომელიც ასეთი მიღების

ბიბლიოთეკაში. 1916 წელი.

მატარებელში. 1916 წელი.

დროს, ასეთი საუბრისას წარმოიქმნა. და თუ იგი კანცელარულ ქაოსში დაიბნეოდა ან დაიკარგებოდა, დამნაშავეს მკაცრად სჯიდნენ, ზოგჯერ მისი საქმე სახალხო კომისართა საბჭოს, ანდა რკპ (ბ) ცკ-ას სხდომაზეც გაჰქონდათ ხოლმე.

ლენინის საბუთებში გვხვდება ერთი ასეთი ცნობა: თურმე თავისი ყოველდღიური ფოსტის გადათვალიერებისას მას წაუკითხავს მეცნიერის წერილი. ვლადიმერ ილიას ძე მაშინვე შესდგომია იმ დროისათვის დიდმნიშვნელოვანსა და ახალ სახელმწიფო საქმეს. წერილის წაკითხვისთანავე სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველმა ასეთი სახელდახელოდ დაწერილი ბარათი მიიღო ლენინისაგან:

„ამხ. გარბუნოვ! ეს ბონჩ-ბრუევიჩი (ვლ. დიმ. ბონჩ-ბრუევიჩის ნათესავი არ არის, მხოლოდ თანამოგვარეა), ყველა შეფასების მიხედვით, უაღრესად თვალსაჩინო გამომგონებელია. საქმე გიგანტური მნიშვნელობისაა (გაზეთი უქაღალდოდ და უმავთულოდ, ვინაიდან როცა გვაქვს რუპორი და ბ.-ბრუევიჩის მიერ იმდენად გაუმჯობესებული მიმღები, რომ ადვილია ასობით მიმღების დამზადება, მთელი რუსეთი მოისმენს მოსკოვში წაკითხულ გაზეთს).

ძალიან გთხოვთ

1) თვალი ადევნოთ სპეციალურად ამ საქმეს, გამოუძახოთ ხოლმე ოსტრიაკოვს დატელეფონით ელაპარაკოთ ნიჟნის,

2) დაჩქარებით გაატაროთ მცირე საბჭოში დეკრეტის პროექტი, რომელიც ამასთან არის დართული. თუ ერთხმიანობა მალე არ იქნა, აუცილებლად მოამზადეთ დიდ სახკომსაბჭოში სამშაბათისათვის,

3) თვეში 2-ჯერ მაცნობეთ სამუშაოთა მიმდინარეობა.

26. I.

ლენინი".

მეცნიერის წერილმა დააჩქარა რადიოფიკაციის გრანდიოზული საქმის დაბადება, რომელსაც შემდეგში ასე დიდი განვითარება ელოდა. დამახასიათებელია აგრეთვე, რომ ბარათში გათვალისწინებული იყო ის საწინააღმდეგო ზომებიც, რათა ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე კანცელარიაში არ ჩამკვდარიყო. რომ იგი განხორციელებულიყო, ლენინმა თავს იდო კონტროლი. ბევრი, გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, საკითხების უმრავლესობა, რომელთაც შემდგომ საყოველთაო სახელმწიფოებრივი განვითარება ჰპოვეს, მშრომელებთან ბელადის უშუალო ურთიერთობის შედეგად წამოიჭრა.

ცნობილია ასეთი მაგალითიც: ციმბირელი გლეხი ო. ი. ჩერნოვი ორი თვე მოუნდა, ვიდრე ოღროჩოღრო და დანგრეული გზებით მოსკოვამდე მიაღწევდა, რათა ლენინი ენახა. მას აწუხებდა გლეხთა დუხჭირი ბედი. დედაქალაქში ჩასვლისთანავე ბარათი გაუგზავნა

იატაკქვეშეთში. 1916 წელი.

ვ. ი. ლენინი. 1917 წელი

ლენინს და მოკლედ უამბო ჩამოსვლის მიზეზი. მალე ის ლენინმა კრემლში მიიწვია.

ჩერნოვს მოეჩვენა ამდენი მიღებებით გადაღლილი ვლადიმერ ილიას ძე პირველად თითქოს უყურადღებოდ უსმენდა მას. მაგრამ უცებ ნაპერწკლები გადმოსცვივდა ლენინს თვალებიდან, იგი სავარძელში უფრო მოხერხებულად ჩაჯდა და მერე ჩაფიქრებული უსმენდა და აქნევდა თავს. ჩერნოვის წინადადების არსი იმაში მდგომარეობდა, რომ სასურსათო გაწერა სასურსათო გადასახადით უნდა შეცვლილიყო. ჩერნოვი იმ წამსვე მიხვდა, რომ ეს საკითხი, როგორც ჩანდა, ლენინისთვის უცხო არ იყო, რომ ამ საკითხზე მას უკვე ბევრი ეფიქრა. ახლა ბელადს უნდოდა გაეგო, რას ფიქრობდნენ ამაზე თვით ციმბირის გლეხები. ლენინი განსაკუთრებით დააინტერესა ხოდოკის მიერ წამოყენებულმა პროგრესული დაბეგვრის სისტემამ. როცა ხოდოკს ყველაფერი გამოჰკითხა, მაგიდასთან დაისვა, მიაწოდა ფანქარი, ქაღალდი და სთხოვა დაწვრილებით დაეწერა, რას ფიქრობენ ციმბირელები პროგრესულ დაბეგვრაზე. და გლეხს წინადადება მისცა, ეს წერილი, დამატებებით, რომელიც ჩერნოვთან საუბრის შემდეგ შეივსო, „პრავდაში“ დაებეჭდა.

იგონებდა რა ამ მნიშვნელოვან შეხვედრას, ხოდოკი შემდეგ წერდა: „იგი, რა თქმა უნდა, მე კი არ მისმენდა... არამედ ჩემი საშუალებით უსმენდა მთელ ჩვენს გლეხობას და ჩემი საშუალებით გაითვალისწინა მდგომარეობის მთელი სირთულე“.

ასე შეამოწმა ლენინმა თავისი აზრი გლეხთან საუბარში, იგი მერე განხორციელდა ისტორიულ დეკრეტში—სასურსათო გაწერის

1917 წლის ოქტომბერში.

შეცვლა სასურსათო გადასახადით, რომელმაც დიდი როლი შეასრულა საბჭოთა ეკონომიკის ჩამოყალიბებაში.

ვლადიმერ ილიას ძეს შესანიშნავი უნარი ჰქონდა მოესმინა თანამოსაუბრისთვის, ჩასწვდომოდა მის დარდსა და გაეზიარებინა იგი. როცა მასთან კაბინეტში შედიოდა მუშა, გლეხი, ან წითელარმიელი, ლენინი, ჩვეულებისამებრ, ფეხზე წამოდგებოდა, გამოვიდოდა, შეეგებებოდა მოსულს და ჩვეულებრივად სხაპასხუპით მიმართავდა: „ჩამოჯექით, ამხანაგო!“ — თვითონ მაგიდას კი არ მიუჯდებოდა, სტუმრის მოპირდაპირე სავარძელში ჩაეშვებოდა, თანაც ისე ახლოს მისწევდა სავარძელს, რომ თანამოსაუბრეს თითქმის მუხლებითაც ეხებოდა.

თუ ლენინს საუბარი დააინტერესებდა, იგი წინ გადაიწეოდა, თითქოს უკეთ უნდა მოუსმინოსო. მერე აძლევდა შეკითხვებს, გამოჰკითხავდა, თავისას ათქმევინებდა და რჩევას მისცემდა. და მთხოვნელს, რომელსაც ცოტა ხნის წინ სახელმწიფოს მეთაურთან შესასვლელად რიგში ჩამდგარს გული უფართხალებდა, ახლა ეგონა, თითქოს დიდი ხანია იცნობდა ამ დაბალი ტანის, ჩაფსკვნილსა და, ერთი შეხედვით, უბრალო ადამიანს. იგი ლენინს გულს გადაუშლიდა, გაუმხელდა ყველაზე საიდუმლოს, რასაც ახლობელსაც კი არ ეტყოდა. ადამიანები გრძნობდნენ, რომ მათი დარდი ლენინისთვის უცხო არ იყო, რომ თუ არ იზიარებდა, ესმოდა მაინც მათი. მოსმენის შემდეგ, ვლადიმერ ილიას ძეს შეეძლო უბრალო, ყველასათვის გასაგები ორი-სამი სიტყვით აეხსნა საქმის არსი, პარტიის პო-

რაზლივში.

რაზლიეში.

სმოლნში. 1917 წელი

ლიტიკა. და ზოგჯერ ერთი-ორი წინადადებით მოქმედების მთელი პროგრამა გადაეშალა მსმენელისათვის თვალწინ.

ყველას, ვისაც თუნდ ერთხელ მაინც უნახავს ლენინი, ამბობს, რომ იგი იყო მეტად მიმზიდველი, მტკიცე ლოგიკის პატრონი, ჰქონდა უნარი — ზედმიწევნით უბრალოდ, მოკლედ ეთქვა და დაერწმუნებინა თანამოსაუბრე, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი. და მიუხედავად იმისა, რომ მასთან მოდიოდა ათასნაირი ხალხი, ვლადიმერ ილიას ძეს შეეძლო ემსჯელა გასაგებ, მათთვის მისაწვდომ ენაზე. თუმცა არასოდეს ბაძავდა თანამოსაუბრეს, არაფრით ემსგავსებოდა „მუშას“ ანდა „გლეხს“. იგი მუდამ თავისთავადი რჩებოდა. ყველას ესმოდა მისი. ლენინი თანამოსაუბრეს თავს კი არ ახვევდა საკუთარ აზრს, არამედ როგორც თანატოლს, უბრალოდ კამათის დროს, სავსებით ბუნებრივად არწმუნებდა თავისი აზრისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის სისწორეში.

«ছবি ৩১»

ლენინური „ბარომეტრი“

შრომელ მასებთან ფართო და განუწყვეტელი ურთიერთობა წარმოადგენდა ლენინის არა მარტო სახელმწიფო მოღვაწეობის პრინციპს, არამედ ქმედით საშუალებას. ამ გზით ის შეიგრძნობდა ახალი რუსეთის ცხოვრების რთულ მაჯისცემას. იმ ცნობების მიხედვით, რომელიც უშუალოდ ამოღებულია უბრალო, გულწრფელი საუბრებიდან, იგი შეუცდომლად ხვდებოდა და განსაზღვრავდა ქვეყნად კლასობრივ ძალთა ოდნავ ცვლილებებსაც, იგებდა უბრალო ადამიანების ნამდვილ აზრებსა და რაზე ოცნებობდნენ ისინი, მათ მსჯელობას საბჭოთა ხელისუფლების ამა თუ იმ დეკრეტზე. იგი თითქოს შეიწოვდა მასების კოლექტიურ აზრსა და გამოცდილებას და გენიალურად განაზოგადებდა რა მას, გარდაქმნიდა პარტიის ლოზუნგებად, რომლებიც პროექტორის მსგავსად გზას უნათებდნენ რევოლუციას. რიგითი მუშის, რიგითი გლეხის, რიგითი ინტელიგენტის აზრის ცოდნა მისთვის, როგორც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურისათვის, იყო არა ნაკლებ მნიშვნელოვანი და საყურადღებო, ვიდრე სახალხო კომისართა, მთავრობის წევრთა აზრის ცოდნა.

ვლადიმერ ილიას ძე უკანასკნელ დღეებამდე გატაცებით ადევნებდა თვალს ქვეყნის ცხოვრებას. დილით იგი, როგორც წესი, სწრაფად, მაგრამ მუდამ დიდი ყურადღებით გადახედავ-

გამოსვლა. 1917 წელი.

რევოლუცია აღსრულდა! 1917 წელი.

და გაზეთებს და განსაკუთრებული ინტერესით კითხულობდა მშრომელთა წერილებს, ამ წერილებს იგი დიდ მნიშვნელობას აძლევდა. „ეს ხომ ნამდვილი ადამიანური საბუთებია! მე ხომ ამას ვერ მოვისმენ ვერც ერთ მოხსენებაში!“ — ეუბნებოდა იგი გაზეთ „ბედნოტას“ რედაქტორს.

იგი მოითხოვდა, რომ „ბედნოტას“ რედაქციას რეგულარულად მიეწოდებინა მისთვის ცნობები სხვადასხვა საკითხებზე, რომლებსაც გლეხთა წერილებიდან ამოიღებდნენ. სთხოვდა აღენიშნათ ამ ცნობებში ის ადგილები, სადაც ლაპარაკი იყო მისთვის საინტერესო საკითხებზე — გლეხთა განწყობილებებზე, ყოველდღიურ ჭირვარამზე, — და მუდამ დიდი გულმოდგინებით კითხულობდა მათ.

ახლობლები ხედავდნენ, უბრალო გლეხთა წერილებიდან ამოკითხულ ამა თუ იმ აზრებს შემდეგში როგორ იყენებდა თავის გამოსვლებსა და სტატიებში.

გაზეთ „ბედნოტას“, რომელიც ამ ხასიათის უამრავ წერილს იღებდა, ვლადიმერ ილიას ძე უწოდებდა „გლეხთა ბარომეტრს“. აკი ასეც ეუბნებოდა „ბედნოტას“ რედაქტორს:

— აბა, რას გვიჩვენებს ჩვენი „გლეხთა ბარომეტრი?“

ზოგჯერ გადადებდა გვერდზე გაზეთს და მხიარულად, ცნობისმოყვარეობით შეხედავდა თანამშრომლებს და სთხოვდა, დაკავშირებოდნენ ამა თუ იმ სტატიის ან წერილის ავტორს, რომელმაც განსაკუთრებით დააინტერესა იგი. ისინი მაშინვე ხვდებოდნენ, რომ ხალხის ინიციატივის ამ დაუშრეტელ წყაროში ლენინმა ჰპოვა ახალი სათავე და მოთმინება აღარ ყოფნიდა, რაც შეიძლება მალე გაეგო ამ მონაპოვრის არსი. ერთხელ ლენინს „ბედნოტადან“ აცნობეს, მოსკოვში ჩამოვიდა გლეხი ი. ა. ჩეკუნოვი, რომელსაც სურს რჩევა-დარიგება ჰკითხოს „თვით ლენინს“ და თავის მხრივაც წამოაყენოს რამდენიმე წინადადება სოფლის მეურნეობის გასაუმჯობესებლად.

ვლადიმერ ილიას ძემ მაშინვე განკარგულება გასცა მოეძებნათ ჩეკუნოვი. ინტერესით მოისმინა მისი მსჯელობა, გაიგო მისი აზრი სოფლის მდგომარეობაზე და ამ ჭკვიან, შორსმჭვრეტელ გლეხს თვით დაუწყო გამოკითხვა იმ ღონისძიებათა შესახებ, რომელნიც, მისი აზრით, შეიძლება განეხორციელებიათ სოფლის მეურნეობის შემდგომი წინსვლისათვის.

საუბრობს. 1918 წელი.

ი ლ ი ჩ ი. 1917 წელი.

ადამიანებისადმი გულისხმიერება

ამ შეხვედრის დროს გამომჟღავნდა ლენინის კიდევ ერთი ძვირფასი თვისება—ადამიანებისადმი გულისხმიერება. ლენინმა შენიშნა, რომ თანამოსაუბრე სათვალეს ხან ისწორებდა, ხან მოიხსნიდა და გატეხილ რკალს სინანულით დახედავდა. მის გამჭრიახ თვალებს ეს არ დარჩენია შეუმჩნეველი. და აი, ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარმა სემაშკომ მიიღო ლენინისათვის დამახასიათებელი შემდეგი ბარათი: „ჩემთან ზის ამხანაგი ივანე ათანასეს ძე ჩეკუნოვი, მეტად სიმპათიური მშრომელი გლეხი, თავისებურად კომუნიზმის საფუძველთა პროპაგანდასაც ეწევა.

მან დაჰკარგა სათვალე, ძველში 15 000 მან. გადაიხადა! არ შეიძლება კარგი სათვალის შეძენაში დავეხმაროთ?

ძალიან გთხოვთ დაეხმაროთ და სთხოვოთ თქვენს მდივანს მაცნობოს — თუ მოხერხდება.“

ამ წერილში ყველაფერი ლენინურია — ადამიანისადმი ყურადღება, საგულდაგულოდ ამოწერილი სახელი და მამის სახელი, მიმართვის სტილი — „...სთხოვეთ თქვენს მდივანს“, და შესრულების შემოწმებაც — „...თუ მოხერხდება.“

აი, ლენინის გულისხმიერების მაჩვენებელი მეორე მაგალითიც: ერთხელ მან გაიგო, რომ მოსკოვის ერთ-ერთ საერთო საცხოვრე-

ბელში იწვა მძიმე ავადმყოფი მუშა ბ. ს. ჟუკოვი, რომელიც ოდესღაც პიტერში ლენინურ მუშათა წრეს ესწრებოდა. ლენინმა დაუყოვნებლივ ინახულა ძველი ნაცნობი, ებაასა, მიიწვია მასთან ექიმი და მანამ არ მოისვენა, სანამ ჟუკოვი მკურნალობის დასამთავრებლად აგარაკზე არ გაგზავნეს.

არავის სმენია, რომ ლენინს ოდესმე სასიყვარულო სიტყვებით მიემართოს ხალხისათვის, მშრომელებისათვის, მაგრამ ყველას, ვინც მას იცნობდა, ვინც მას შეხვედრია, უმალვე უგრძვნია მხურვალე სიყვარული. ყველამ იცოდა, რომ მისი გული ძგერდა მილიონობით გულებთან ერთად. უპირველეს ყოვლისა, ამას გრძნობდნენ თვით მუშები. გლეხები, წითელარმიელები, და ნამდვილი მშობელივით უყვარდათ, მასზე, მის სულიერ განწყობილებაზე, მის ჯანმრთელობაზე ზრუნავდნენ.

ფაბრიკა „პეტროტექსტილის“ მუშები, რომლებმაც ლენინს საჩუქრად მათ მიერ დამზადებული პლედი გაუგზავნეს, სწერდნენ: „...გვსურს, ჩვენო ძვირფასო, რომ თქვენ, ჩვენი უბრალო საჩუქრით ფიზიკურ სითბოსთან ერთად გაგრძნობინოთ მუშათა გულების ის სითბოც, რომელშიაც გვინდა გაგხვიოთ.



პეტროგრადელი
ვლადიმერ ილიჩთან.



ხოდოკი უამბობს ლენინს
გლეხთა გასაჭირზე.

გვსურს ასევე ყურადღება მიაქციოთ იმას, რომ უკიდურესი რღვევის, ნაკლებობისა და კრიზისის პირობებში ჩვენ სრულებით არ ვმუშაობთ ომამდელზე უარესად და, მაშასადამე, შეგვიძლია მივაღწიოთ, რასაც გვინდა.

ატარე იგი, ჩვენო ძვირფასო, შენს საკეთილდღეოდ.“

ლენინმა მათ ოფიციალურად კი არ უპასუხა, მოკლე და მეგობრული ბარათი გაუგზავნა: „ძვირფასო ამხანაგებო! გულითად მადლობას გიძღვნით გამოგზავნილი პლედისათვის, მიმაჩნია იგი ჩინებულად...“

აი, კიდევ ერთი საგულისხმო მაგალითი: კრემლში, ვლადიმერ ილიჩის უბრალო კაბინეტში, რომელიც სრულებით არ არის გაფორმებული, აქ ვერ იპოვით რაიმე ზედმეტს, რაც მხოლოდ ყურადღებას იპყრობდეს და სამუშაოსათვის არ იყოს აუცილებელი, დგას ოსტატურად ჩამოსხმული თუჯის ქანდაკება, — გრდემლის წინ დგას მჭედელი, ხელში შეჰყინვია მძლავრად მოქნეული ურო. გრდემლზე ზოლი გაჭიმულა. ეს არის მახვილის პირი, რომელიც მჭედელმა გუთნისათვის გამოჭედა. ქანდაკების კვარცხლბეკზე სწერია: „კუსინსკის ქარხნის მუშების საჩუქარი“.

ნაშრომს ასე ეწოდება: „ვაქციოთ მახვილი სახნისად“. ვლადიმერ ილიჩმა ტყუილუბრალოდ როდი დაიდგა ეს ქანდაკება თავის კაბინეტში. ლენინს უყვარდა იგი და აი, ასეთია ამ ქანდაკების ისტორია: ურალის მუშებს სურდათ ლენინისათვის საჩუქარი გაეგზავნათ. ამ ფიგურის მოდელი თვითონვე დაამზადეს და ჩამოასხეს თუჯისაგან. მუშათა სპეციალურმა დელეგაციამ იგი მოსკოვში წაიღო. ეს ქანდაკება ჯერ კიდევ მაშინ, სამოქალაქო ომის მიწურულს, როცა ჭვეყანა კვლავ ნანგრევებად იყო ქცეული, გამოხატავდა ყველაზე სანუკვარ ოცნებას — ოცნებას მშვიდობაზე. ამ ამბავს ლენინი მხურვალედ თანაუგრძნობდა. იგი დღესაც ისევ ისე დგას ლენინის კაბინეტში. რადგან განსაკუთრებით ძვირფასი იყო ლენინისათვის, და მაჩვენებელია იმისა, როგორ სისხლხორცეულად იყო დაკავშირებული ვლადიმერ ილიას ძე მშრომელებთან.

ცნობები ფრონტიდან. 1918 წელი.

1919 წლის დამდეგს ლენინი ინახულა მილინოვსკის თემიდან ვლადიმირსკის გუბერნიის გლეხთა მიერ წარგზავნილმა ხოდოკმა ივანოვმა. ლენინის კაბინეტში ციოდა. ყინვას მოეხატა ფანჯრები. როცა გულითადი საუბარი დაამთავრეს, ხოდოკმა ჰკითხა: „რაშია საქმე, ვლადიმერ ილიჩ, ასე რად ცივა?“ ლენინს გაეღიმა. „ჰო,—უპასუხა,—შეშა ცოტა გვაქვს, უნდა გავუფრთხილდეთ“. ისინი გამოეთხოვენ ერთმანეთს. ხოდოკი წავიდა. რამდენიმე ხნის შემდეგ ვლადიმირსკის გუბერნიიდან ერთი ვაგონი შეშა მოვიდა ლენინის სახელზე: მოსკოვი, კრემლი, ლენინს. წერილში ეწერა, რომ გიგზავნით ერთ ვაგონ შეშას, ააშენე ღუმელი, თუ არ გყავს მეღუმელე, გამოგიგზავნით. ჩვენ გვყავს სოფელში მეღუმელე...

ამგვარი შემთხვევაც მოხდა. კრემლში მივიდა წითელარმიელი. როგორც იქნა, ინახულა ლენინის მდივანი და გადასცა ნახევარი პუ-რი: „გადაეცით ილიჩს, ახლა შიმშილობაა და ღმერთმა შეარგოს". იგი არ ჩაეწერა მიღებაზე, მხოლოდ ითხოვა, როცა ჩაივლის, დამა-ნახეთ, რომელია ლენინი.

ამგვარი შემთხვევა ხშირი იყო.

ლენინი სასტიკი წინააღმდეგი იყო, არ უნდოდა, რომ მისთვის საჩუქრები მოეტანათ ან გამოეგზავნათ. საშინლად გაბრაზდებოდა ხოლმე, როცა საჩუქარს მოუტანდნენ. მაგრამ წრფელი გულით მო-ძღვნილი, რომელიც გულწრფელ სიყვარულს გამოხატავდა, კრემლ-ში მაინც მოჰქონდათ ქვეყნის ყოველი კუთხიდან. ჩვეულებისამებრ. ადრესატის მითითებით ისინი იგზავნებოდა ბავშვთა სახლებში, ჰოს-პიტლებში, საავადმყოფოებში.

მრისხანე, მუშათა კლასის მტრების მიმართ ულმობელი, ლენი-ნი მეტისმეტად გულისხმიერი ამხანაგი იყო. იგი გამუდმებით ზრუ-ნავდა გარშემომყოფებზე, მათ ჯანმრთელობაზე, მუშაობის პირობე-ბის გაუმჯობესებაზე, მათ ოჯახებზე. ლენინი ემიგრაციაში მუდამ ძა-ლიან ღარიბად ცხოვრობდა, ზოგჯერ, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე, „განსაკუთრებულ უფულობას" განიცდიდა. მაგრამ გასაჭირ-ში მყოფ ამხანაგს უკანასკნელსაც გაუნაწილებდა. როდესაც ლენინი საბჭოთა სახელმწიფოს სათავეში ჩაუდგა, საზრუნავი ბევრი ჰქონ-და, სამაგიეროდ, უყურადღებოდ ტოვებდა იმას, რაც პირადად მას ეხებოდა. იგი განსაკუთრებით ადევნებდა თვალს, რა პირობებში უხდებოდათ მუშაობა გარშემომყოფთ.

ლენინზე მოგონებებში უხვად არის ლაპარაკი იმის შესახებ, თუ როგორ დაეხმარა იგი ცხოვრების მძიმე პირობებში მყოფ ამა თუ იმ მოქალაქეს.

—„...რაღაც ცუდად გამოიყურება ესა და ეს ამხანაგი, — ეტყო-და ხოლმე ლენინი რომელიმე უახლოეს თანამშრომელს. — ჰოდა, ჩაჯექით ჩემს მანქანაში, გეთაყვა, მიდით მასთან და გაიგეთ, როგორ ცხოვრობს..."



ვ. ი. ლენინი. 1918 წელი.

გაზეთს კითხულობს.

მის თანამშრომლებს არა ერთხელ სმენიათ, რა მკაცრად მიმართავდა რომელიმე თავის ახლობელს:

— აი, რა, პასუხისგებაში ხართ მისაცემი, სახელმწიფო დოვლათს — საკუთარ თავს დაუდევრად რომ ეპყრობით. დიახ, დიახ, სწორედ პასუხისგებაში... უძვირფასესი სახელმწიფო დოვლათია ჩვენი ხალხი...

ხალხი უძვირფასესი სახელმწიფო დოვლათია! ამ ფრაზას, რომელიც არა ერთხელ უთქვამს ლენინს, ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა.

აი, ლენინის ხელით ნაწერი ბარათი. ეს წერილი სახკომს ლ. ბ. კრასინს გაუგზავნა 1922 წლის 4 ოქტომბერს: „ამხ. კრასინო!

თქვენთან კოლეგიის წევრის უფლებით მუშაობს ერმაკოვი (სატრანსპორტო-მატერიალური განყოფილების გამგე?) იგი მე მინახავს 2—3-ჯერ სამოქალაქო ომის წლებში. ასრულებდა ყველაზე ძნელ, პასუხსაგებ და სახიფათო დავალებებს. ეს ადამიანი ჩინებულია. გამოირკვა, რომ უსერიოზულესად არის ავად (სისხლი სდის ყელიდან). სცადა მკურნალობა, მაგრამ ერთხელაც ვერ დაასრულა კურსი, რადგან ადგილობრივი „ყმაწვილები“ ცდილობენ იქაურ სამუშაოში ჩააბან იგი. ოჯახი დიდია; ხელფასი კი... — გროშები.

ასე არ შეიძლება. ვალდებული ვართ ამგვარ ადამიანებს ვუმკურნალოთ და განვკურნოთ კიდეც. იგი რამდენიმე თვით უნდა გაიგზავნოს გერმანიაში სამკურნალოდ, ოჯახს კი დავეხმაროთ (საიდუმლოდ მიპასუხეთ ორი სიტყვით).

თქვენი ლენინი“.

საუკეთესო წამალი.

1918 წელი.

ლენინის ამ მზრუნველობის შედეგად ვ. ს. ერმაკოვი მალე იტალიაში გაიგზავნა სამკურნალოდ.

ერთ-ერთი ყველაზე დამახასიათებელი საბუთი იმისა, რა მზრუნველობას იჩენდა ლენინი თავისი თანამშრომლის მიმართ, დაცულია ნ. ა. სემაშკოს მოგონებებში. ერთხელ ის ლენინს შეხვდა:

— ჩივიან, რომ ჩიჩერინი სხდომებს ღამის თორმეტი საათის შემდეგ იწვევს და ოთხ-ხუთ საათამდე აგრძელებსო. — უთხრა შეწუხებულმა ლენინმა. — მოელაპარაკეთ, გეთაყვა, რატომ სპობს სხვებსაც და თავის თავსაც რას ერჩის.

ჯანმრთელობის დაცვის კომისრის მისიამ მიზანს ვერ მიაღწია. ჩიჩერინმა, რომელიც მაშინ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, შენიშვნა იწყინა და დაიწყო მტკიცება, სწორედ ღამით, როდესაც ხელს არავინ გვიშლის, უკეთესად ვფიქრობთ, გამოძინება კი დღისითაც შეიძლებაო. როგორც ყოველთვის, ლენინს არ დავიწყებია თავისი დავალება და ერთხელ, როცა სემაშკოს კვლავ შეხვდა, ჰკითხა, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში ღამეს კიდევ ათევენ თუ არა? სემაშკომ ხელები გაშალა.

რამდენიმე დღის შემდეგ ჩიჩერინმა მიიღო პარტიის ცკ-ს დადგენილება ღამის სხდომების აკრძალვის შესახებ. დადგენილების ასლი სემაშკოს გაეგზავნა.

ეს ლაპარაკობს არა მარტო ლენინის გულისხმიერებასა და ხალხზე ზრუნვაზე, არამედ ლენინის მუშაობის სტილზეც.

ყველაფერი მოწესრიგდება. 1918 წ.

ორგანიზებულობა, პუნქტუალობა, შრომისმოყვარეობა

ნალისიანი, სიცოცხლით სავსე და მჩქეფარე ენერგიის მქონე ადამიანი იყო ლენინი. ახალგაზრდობიდანვე სამაგალითო იყო მისი ორგანიზებულობა, პუნქტუალობა. შეუდგებოდა თუ არა საქმეს, თითქოს ივიწყებდა ყველაფერს, გარემო პირობებსაც კი, და მთელი გულისყურით ეძლეოდა სამუშაოს.

ეს თვისება მას ბავშვობიდანვე ახასიათებდა და იგი ოდნავაც არ მოქმედებდა მის მკვირცხლ ხასიათზე, მუდამ სერიოზულად ეკიდებოდა სკოლის გაკვეთილებს, შეეძლო მთელი გატაცებით ჩაჯდომოდა მეცადინეობას. ზოგჯერ ყველაზე მალე დაამზადებდა გაკვეთილებს და გახალისებული იწყებდა ცელქობას, ყირას გადადიოდა ოთახში, აჯავრებდა თავის დებსა და ძმას, რომლებიც ისევ წიგნებს ჩაჰკირკიტებდნენ.

ვლადიმერ ულიანოვი კლასიდან კლასში გადადიოდა ჯილდოებით. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ მას ძალზე ეადვილებოდა სწავლა, გაკვეთილებს მუდამ გულმოდგინედ ამზადებდა. მიუჯდებოდა მერხს ან მაგიდას, მაშინვე თავს მიანებებდა ყველაფერს და ბეჯითად სწავლობდა საგანს.

მრავალი მოგონება არსებობს იმაზე, თუ როგორ წერდა ლენინი სასკოლო თხზულებებს.

პირველად შეადგენდა მოკლე გეგმას, თავის შესავლითა და დასკვნით. აიღებდა ფურცელს, გაკეცავდა შუაში, მარცხენა მხარეზე შავად მოხაზავდა თემის შინაარსს, იქვე აღნიშნავდა გეგმის ციფრებსა და ასოებს. როდესაც მომდევნო დღეებში განაგრძობდა თხზულებაზე მუშაობას, ქაღალდის მარჯვენა მხარეზე წერდა განმარტებებს,

დამატებებს, შეჰქონდა შესწორება, ჩამოწერდა ლიტერატურულ წყაროებს. ასე საფუძვლიანად მოამზადებდა მასალას და, მხოლოდ შემდეგ შეუდგებოდა თხზულების წერას; პირველად შავად დაწერდა, მერე შეამოწმებდა, შეასწორებდა და გადაათეთრებდა. გარშემომყოფნი მუდამ განცვიფრებულნი იყვნენ ბავშვის იშვიათი ნიჭით და დიდი შრომისმოყვარეობით.

ბავშვობიდანვე შესამჩნევი ეს თვისებები, რაც დრო გადიოდა უფრო მეტად ვითარდებოდა. როგორც ცნობილია, ლენინი ყაზანის უნივერსიტეტიდან გარიცხეს სტუდენტთა მღელვარებაში აქტიური მონაწილეობის გამო. მეფის ხელისუფლებამ უარი უთხრა საზღვარგარეთის ვიზაზე, სადაც იგი ევროპის რომელსამე უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას ფიქრობდა. ვლადიმერ ულიანოვი ცხოვრობდა პოლიციის ფარული ზედამხედველობის ქვეშ და მხოლოდ 1890 წლის გაზაფხულზე, როგორც იქნა, ნება დართეს, ექსტერნად ჩაებარებინა გამოცდები პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე.

გაცდენილი ჰქონდა ორ წელზე მეტი. მაგრამ ვლადიმერ ულიანოვმა გადაწყვიტა დაემთავრებინა უნივერსიტეტი ყაზანელ თანა-

ორი დელეგატი.

კურსელებთან ერთად. ამისათვის მას წელიწადნახევარში უნდა გაემეორებინა გიმნაზიის მთლიანი კურსი და შეესწავლა უნივერსიტეტის ის საგნები, რომლების მომზადებასაც მისმა ამხანაგებმა ოთხი წელი მოანდომეს.

ახალგაზრდა ულიანოვმა უკვე გამოამჟღავნა ნამდვილი ლენინური უნარი — მთელი ენერგიით შეუდგა დასახული ამოცანის განხორციელებას, ამას ძალიან ბევრი ახალგაზრდა ვერ შესძლებდა. ზუსტად გაიანგარიშა დრო, რომელიც თვითეული საგნის მომზადებას დასჭირდებოდა და შეადგინა სამუშაო გეგმა. შინაურებსაც კი ანცვიფრებდა მისი შეუპოვრობა, სიბეჯითე და ნებისყოფა.

ზაფხულში, როცა მთელი ოჯახი სოფელ ალაკაევკის მახლობლად აგარაკზე წავიდა, რომელიც იქვეა, სამარასთან, მან მოშორებით ხეივანში, მოძებნა მყუდრო ადგილი, ამ ადგილს შინაურები ხუმრობით „სამუშაო კაბინეტს“ ეძახდნენ. აქ იდგა მაგიდა და სკამი — სულ მწვანეში ჩაფლული. დილით, ჩაის შემდეგ, იგი აქ მოდიოდა დატვირთული წიგნებით, ლექსიკონებითა და რვეულებით და მთელი გულისყურით ჩაუჯდებოდა მათ. ამ დროს არავის და არაფერს არ შეეძლო მისი ყურადღების მიპყრობა.

სადილის შემდეგაც დაუბრუნდებოდა თავის წიგნებს. ამჯერად უკვე საერთაშორისო საკითხებს გადახედავდა, თანაც ამ წიგნებს უბრალოდ კი არ კითხულობდა, არამედ სწავლობდა, იწერდა ადგილებს, აკეთებდა შენიშვნებს, აღნიშნავდა საკითხებს, რომლებიც კითხვის დროს წამოეჭრებოდა ხოლმე. საღამოს მთელი ოჯახი აივანზე შეიკრიბებოდა, ოთახიდან გამოიტანდნენ თავიანთ ერთადერთ ლამპას, დადგამდნენ მაგიდაზე და ირგვლივ შემოუსხდებოდნენ, ლენინიც თავისი წიგნით გვერდით მიუჯდებოდა მათ.

და აი, ორგანიზებული, შეუპოვარი შრომის შედეგად შესძლო დათქმულ დროში მოემზადებინა და ბრწყინვალედ ჩაებარებინა უნივერსიტეტის ოთხივე კურსის საგნები. თანაკურსელთა შორის მხოლოდ მან მიიღო ყველა საგანში უმაღლესი შეფასება და პირველი ხარისხის დიპლომიც მისცეს. ამგვარად, სისტემატურ სწავლას მოკ-

ილიჩი უყვირდება თანამოსაუბრის ყოველ სიტყვას.

ლებული ლენინი მაინც ბრწყინვალედ ამთავრებს უნივერსიტეტს ყაზანელ თანაკურსელებთან ერთად.

და ეს ორგანიზებულობა შერჩა მას მთელი სიცოცხლის მანძილზე. ყველგან და ყველაფერში სიზუსტე, წიგნის დროზე დაბრუნება, დანიშნულ დროს დაწყება ყოველგვარი სხდომისა, არაჩვეულებრივი მომთხოვნელობა, როგორც თავისი თავის მიმართ, ისე გარშემომყოფთა მიმართაც, ერთხელ დაწყებული, თუნდაც ნაკლებ მნიშვნელოვანი საქმის ბოლომდე მიყვანა, მისი ძირფესვიანი შემოწმება— ყველაფერ ამას შეიძლება ეწოდოს ლენინური მუშაობის მეთოდი.

სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე იგი გააღებდა თავისი კაბინეტის პატარა კარს ზუსტად დანიშნულ დროს, გამოვიდოდა იმწამსვე, ყოველგვარი შესავლისა თუ ყოყმანის გარეშე, გახსნიდა სხდომას. იგი მოითხოვდა, რომ ელაპარაკათ დაფიქრებით, მოკლედ. ყბედობას, ლაქლაქს, ლამაზი სიტყვებით აზრის მიჩქმალვას ვერ იტანდა. ლენინი დიდად აფასებდა კოლექტიურობას. ამჯობინებდა დაეძლია დაბრკოლებები, ოღონდ საკითხი ყოველმხრივ განეხილათ და კოლექტიურად გადაეწყვიტათ. კოლექტიურობა მას მიაჩნდა პარტიული ხელმძღვანელობის უმნიშვნელოვანეს პრინციპად, რომლის საშუალებითაც პარტია მიაღწევდა მტკიცე და მთლიან გამარჯვებას მიზნის განხორციელებაში. იგი ამბობდა „საჭიროა თავიდანვე ვიზრუნოთ, რათა ავიცდინოთ ესა თუ ის გაუგებრობა, რომ მხოლოდ ცკ-ის კოლეგიალური გადაწყვეტილებანი, მიღებული ორგბიუროს ან პოლიტბიუროს მიერ, ანდა ცკ-ის პლენუმზე, მხოლოდ და მხოლოდ ასეთი საკითხები ტარდებოდეს ცხოვრებაში პარტიის ცკ-ის მდივნის მიერ. სხვაგვარად ცკ-ის მუშაობა სწორად ვერ წარიმართება.“

დამახასიათებელი იყო თვით ლენინის გამოსვლები სახკომსაბჭოსა და შრომისა და თავდაცვის საბჭოს სხდომებზე.

სარგებლობდა რა უდიდესი ავტორიტეტით, ზემოქმედების დიდი ძალით, ვლადიმერ ილიჩი არასდროს არ გამოდიოდა სიტყვებით პირველი, რომ არ ჩაეხშო გარშემომყოფთა ინიციატივა და გაეგო მა-

გულითადი საუბარი.

თი აზრი, იგი ჩვეულებისამებრ წყნარად აკაკუნებდა მაგიდაზე ფანქარს და ყურადღებით ისმენდა ყოველივეს. ზოგჯერ მას მოუსვენარ მუქთაფლისფერ თვალებში ჩაუდგებოდა გამამხნევებელი ღიმილი, ზოგჯერ ირონიულად მოჭუტავდა თვალებს ან ჩაფიქრებით გამოიყურებოდა. გარშემომყოფნი მუდამ გრძნობდნენ, რომ ლენინი უსმენდა, წონიდა მათ ნათქვამს, საკუთარ აზრს უპირისპირებდა. ვლადიმერ ილიას ძე ორატორს არასდროს არ შეაწყვეტინებდა სიტყვას, თუ ეს აუცილებელი არ იყო, ზოგჯერ წამოისროლიდა მოკლე, ლაკონურ რეპლიკას, რომელიც მუდამ მიზანში ხვდებოდა.

მთელი გულისყურით.

ლენინს განსაცვიფრებელი მეხსიერება ჰქონდა. როცა ამხანაგს მოუსმენდა, თითქმის არც კი ჩაიწერდა, არც შენიშვნას მისცემდა, შეაჯამებდა ნათქვამს და შეეძლო გონებაში შეერჩია და ლოგიკური თანმიმდევრობით დაელაგებინა მოსმენილთა შორის საინტერესო, მნიშვნელოვანი და შეევსო იგი მის მიერ უკვე მოფიქრებულით. ყვე-

ლაფერი ეს ისე ლოგიკურად იყო ჩამოყალიბებული, რომ მისი განზოგადების შემდეგ გადაწყვეტილებანი თითქმის მუდამ ერთხმად ანდა ხმის დიდი უმრავლესობით მიიღებოდა, მაშინაც კი, თუ მსჯელობის საკითხი სხდომაზე გაცხარებულ კამათს გამოიწვევდა. მაორგანიზებელ საწყისს წარმოადგენდა ყოვლისშემძლე ლენინური ლოგიკა, ლენინური ცოდნა, ლენინური უნარი ცხოვრებიდან აღებული უდავო მაგალითებით განემტკიცებინა თავისი აზრის სისწორე და ამაში დაერწმუნებინა ისინიც, ვინც სხვას ფიქრობდნენ.



საუბარი ინგლისელ
მწერალ უელსთან.

ლენინი—ორატორი

მრავალი მისი თანამედროვე, მისი მოწინააღმდეგენიც კი, როდესაც იგონებენ ლენინს — ორატორს, ამბობენ, ლენინს ჰქონდა ისეთი არაჩვეულებრივი ლოგიკა, რომ აიძულებდა ადამიანს, თავისდა უნებლიეთ დათანხმებოდა მასო.

ლონდონის რსდმპ ყრილობაზე ლენინს მოუხდა მენშევიკთა უძლიერესი ორატორების წინააღმდეგ გამოსვლა. აი, რას მოგვითხრობს ამავე ყრილობის მონაწილე მ. გორკი:

„მაგრამ აი, ვლადიმერ ილიჩი სწრაფად ავიდა კათედრაზე და დაიწყო, „ამხანაგებო“. მომეჩვენა, თითქოს იგი ცუდად ლაპარაკობდა, მაგრამ ერთი წუთის შემდეგ მე ისევე, როგორც ყველა, უკვე „შთამნთქა“ მისმა მოხსენებამ. პირველად გავიგე, რომ პოლიტიკის ურთულეს საკითხებზე შესაძლებელი ყოფილა ასე მარტივად ლაპარაკი“.

მარტივად ურთულეს საკითხებზე! ამ სიტყვებს ხმარობენ თავის მოგონებებში ისინი, ვისაც კი შემთხვევა ჰქონია ერთხელ მაინც ენახა ლენინი ტრიბუნაზე, მოესმინა მისი სიტყვა. ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ მისი გამოსვლა მუდამ იყო ისე ლოგიკური, მოფიქრებული, სხარტი, რომ ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ყველაზე მკაცრ რედაქტორსაც გაუჭირდება რაიმე ამოაგდოს ლენინის რომელიმე სიტყვის სტენოგრამიდან. ყოველივე ეს — მოფიქრებული სიტყვა, არაჩვეულებრივი ცხადი და მარტივი, — არის სტილი ლენინი — ორატორის, ლენინი — აგიტატორის, ლენინი — პოლემისტის, ლენინი — პუბლიცისტისა.

ვ. ი. ლენინისა და ნ. კ. კრუპსკაიას ჩამოსვლა კაშინოში.

იგი ვერ იტანდა იმდროისათვის აღიარებულ ორატორთა ათასნაირად შელამაზებულ სიტყვებს. მაგრამ აზრი, ლენინის უმდიდრესი და უწმინდესი აზრი, რომელსაც ის გადმოსცემდა მინიმალურად მოკლე, მაგრამ ზედმიწევნით ზუსტ და ზედმიწევნით საჭირო სიტყვებით, ეს აზრი, რომელიც ერთნაირად მისაწვდომი ხდებოდა აკადემიკოსისთვისაც და გაუნათლებელი გლეხისთვისაც, იპყრობდა აუდიტორიას, მსმენელებს აიძულებდა დაეპირისპირებინათ ნათქვამი საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებასთან და თავისთავად მისულიყვნენ იმ დასკვნამდე, რასაც ორატორი ეუბნებოდა.

ცნობილმა ჩეხოსლოვაკელმა რევოლუციონერმა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ერთ-ერთმა დამაარსებელთაგანმა ბოგუმირ შმერალმა, რომელმაც მოუსმინა რკპ (ბ) მე-9 ყრილობაზე ვლადიმერ ილიას ძეს, აღელვებულმა ჩაიწერა დღიურში:

„რაც მეტს ლაპარაკობს ლენინი, მით უფრო იძაბება მსმენელი. ხელები ტაშის შემოკვრას ლამობენ და ვიდრე ერთმანეთს მიეკარებიან, თითქოს უცებ გაშეშდნენო, ახალი ფრაზით დაძაბულებს დრო აღარ რჩებათ დაჰკრან ტაში. ამ დაძაბულობაში მხოლოდ შეკავებული ხველება გაგრძნობინებთ სიცოცხლის ნიშანწყალს. ასე სრულყოფილად ფლობს ლენინი არა მარტო თავის აზრებს, არამედ თავისი ხალხის აზრებსაც. დელეგატების სახის გამომეტყველება გეუბნებათ: მისი აზრი — მათი აზრია, მისი ცხოვრება — მათი ცხოვრება.“

როცა ლენინი გამოდიოდა, წინასწარ დაწერილი ტექსტი კი არ ეჭირა ხელში, იგი კი არ კითხულობდა, არამედ მუდამ ზეპირად ლაპარაკობდა. მაგრამ ყოველი მისი გამოსვლა იყო ზედმიწევნით მოფიქრებული, გულდასმით ჰქონდა შეგროვილი მასალა და საფუძვლიანად შემოწმებული, რაც უნდა ეთქვა, შემოწმებული ჰქონდა სწორედ აზრი და არა სიტყვები, რომლითაც ის აზრი უნდა გამოესახა. ამ აზრების თანმიმდევრული, ლოგიკური განვითარება იყო მოხაზული იმ მოკლე გეგმაში, რომელიც გამოსვლის დროს ხელში ეჭირა. ეს შესაძლებლობას აძლევდა თავისუფალი საუბრის სახით წარემართა

საუბარი არყის ხესთან.

ლ ე ნ ი ნ ი-ტ რ ი ბ უ ნ ი.

რაგინდარა მოხსენება, თუნდაც ურთულეს საკითხებზე, მოხსენება აღაგზნებდა იმასაც და მასთან ერთად მთელ აუდიტორიასაც. ეს დამახასიათებელი იყო არა მარტო მის საპროგრამო გამოსვლების, არამედ მოხსენებებისაც, რომლებსაც იგი ექსპრომტად წარმოთქვამდა ხოლმე მიტინგებზე. კრებებზე თუ საქმიან სხდომებზე.

ლენინის უბრალოება

ბორკი იგონებს: ერთხელ სორმოველ მუშას, რომელიც ვლადიმერ ილიას ძეს იცნობდა, ჰკითხეს, — რა არის, მისი აზრით, ლენინის ყველაზე დასამახსოვრებელი თვისებაო, მან ჩაფიქრების შემდეგ მიუგო:

— უბრალოება. უბრალოა, როგორც სიმართლე.

ამაზე ზუსტი დახასიათება შეუძლებელია. ახლა, როცა შეკრებილი და გამოქვეყნებულია ათასობით იმ ადამიანთა მოგონებები, რომლებიც ვლადიმერ ილიას ძეს იცნობდნენ ცხოვრების ხვადასხვა პერიოდში, მასთან ერთად მუშაობდნენ მუშათა პირველ მარქსისტულ წრეებში, ხვდებოდნენ მას იატაკქვეშეთში, გადასახლებაში, ემიგრაციაში, ოქტომბრის ბრძოლების მრისხანე დღეებში და ბოლოს — როცა ლენინი გახდა მსოფლიოში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს მეთაური, — ბევრი იმათგანი იგონებს მის ძვირფას სახეს და ლაპარაკობს მის უბრალოებაზე, გულწრფელობაზე.

მაგრამ ეს იყო განსაკუთრებული უბრალოება, რომელსაც არავითარი საერთო არ ჰქონდა მიამიტობასთან, არც „მიამიტობით შენიღბულ“ დემაგოგიურ უბრალოებასთან. ეს იყო გენიის უბრალოება, რომელიც ადამიანის სულისა და გულის დასაპყრობად არავითარ ხელოვნურ ხერხს არ მიმართავდა, გარდა გულწრფელი დამოკიდებულებისა.

დიახ, ეს იყო ჭეშმარიტი უბრალოება. ეს იყო მისი მიმზიდველობის უდიდესი ძალა.

ლენინი, რომელსაც არ უყვარდა პოზის დაჭერა, მისალმებები,

აპლოდისმენტები, სადღეგრძელოები, თაყვანისცემა, ცდილობდა არაფრით არ გამორჩეულიყო კრებაზე სხვებისაგან. მიუხედავად ყოველივე ამისა, მისი ამ ბუნებრიობის წყალობით იგი არასდროს არ ითქვიფებოდა ხალხში და მუდამ ყურადღების ცენტრში იდგა.

ლენინის ამ მომაჯადოებელ უბრალოებას შესანიშნავად გადმოგვცემს ამერიკელი ალბერტ რის ვილიამსი, რომელიც თავის მეგობარ ჯონ რიდთან ერთად მოწამე იყო ოქტომბრის რევოლუციის გადამწყვეტი ბრძოლებისა. ეს მოთხრობა დაწერილია მისი ნაამბობის მიხედვით. ყველაფერი ეს, მხოლოდ ცოტაოდენი ცვლილებებით, შეტანილია ალბერტ რის ვილიამსის წიგნში „ლენინი როგორც ადამიანი და მისი მუშაობა“, რომელიც ამერიკაში გამოვიდა. ეს იყო პირველი წიგნი, რომლის საშუალებითაც ავტორმა გააცნო დასავლეთის სამყაროს ოქტომბრის რევოლუციის დიდი ბელადი.

— ...საღამოობით, მე და რიდი, დაღლილობისაგან ძალაგამოლეულნი, როგორც იყო, მივაღწევდით ხოლმე ჩვენი სასტუმროს ნომრამდე და მთელი საღამო ვსაუბრობდით იმ კაცზე, რომელიც ჯერ კიდევ არ გვენახა. გვინდოდა წარმოგვედგინა, როგორი იყო ის, რით ხიბლავდა ადამიანებს, რით იზიდავდა ასე ძლიერ მშიერ მუშებს, ჩამოფლეთილ ჯარისკაცებს, რომლებიც დაშლილი ფრონტიდან მორბოდნენ, სამხედრო მეზღვაურებს, რომლებიც, ბევრის აზრით, რევოლუციონური სტიქიის აღვირახსნილ ძალას წარმოადგენდნენ.

ლენინი, ეს იდუმალი ლენინი, რომელსაც ერთნი სწყევლიდნენ, მეორენი ადიდებდნენ, რევოლუციის ნამდვილ გენიად აღიარებდნენ, რომლის შესამკობად ღვარძლიან სიტყვებს არ იშურებდა ყველა სხვა პარტიის პრესა, რომლის სახელის ხსენების დროსაც ოფიცრები ბოღმისაგან კბილებს აღრჭიალებდნენ, მუშებს, ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს კი აღტაცებისაგან თვალები უბრწყინდებოდათ, ეს ჩვენთვის უცნობი ლენინი ამიტომ სულ უფრო და უფრო გვიპყრობდა.

ჩვენ მასზე ვესაუბრებოდით ამერიკაში მყოფ რუს ემიგრანტებს, რომლებიც ცხოვრობდნენ შტატებში და ამჟამად რეპატრირე-

გამარჯობათ!

ბულნი არიან რუსეთში. ზოგი მათგანი პირადად იცნობდა ლენინს, ზოგს კი მხოლოდ გაგონილი ჰქონდა მისი მოღვაწეობის ამბავი. მაგრამ ყველა აღტაცებული იყო ლენინით, და რაც ესოდენ დამახასიათებელია, არც ერთ მათგანს არ შეეძლო მისი სრული პორტრეტის დახატვა. ჩვენ უფრო მეტად და მეტად გვინდოდა ამ ადამიანის ნახვა. ლენინი კი იძულებული იყო დროებითი მთავრობის მეძებრებს დამალოდა, — აღელვებით გვიამბობს ვილიამსი.

— მერე, როგორი შთაბეჭდილება მოახდინა თქვენზე ვლადიმერ ილიჩმა, როცა პირველად ნახეთ?

— ჰო-ჰო — შთაბეჭდილება! თქვენ ფიქრობთ ასე ადვილია ამ შთაბეჭდილების გადმოცემა... მე ლენინი პირველად ვნახე სმოლნის დიდ დარბაზში, რომელიც გაჭედილი იყო ჯარისკაცებით, მუშებითა და მატროსებით. ეს მოხდა იმ ღამეს, როდესაც „ავროროს“ ზარბაზნებმა დაიგრუხუნა. დარბაზი ბობოქრობდა, გუგუნებდა... ამ დროს თავმჯდომარემ წარმოთქვა: „სიტყვა ეძლევა ამხანაგ ლენინს“... ერთბაშად ყველაფერი მიჩუმდა, შემდეგ გაისმა ისეთი აპლოდისმენტები და შეძახილები, რომ დარბაზის სვეტებმა ზანზარი დაიწყო.

ჩვენ ვისხედით ჟურნალისტებისათვის განკუთვნილ ადგილას. ეს რომ გავიგონეთ, გავინაბეთ და დავიძაბეთ: აი, ახლა გამოჩნდება ადამიანი, რომლის ნახვაც ასე გვეწადა. პირველად ფეხის წვერებზეც კი შევდექით, მაგრამ ვერაფერი დავინახეთ,

ნაძვის ხესთან სოკოლნიკებში.

მხოლოდ ტაშის გრიალსა და აღფრთოვანებულ შეძახილებში ვიღაც მიიწევდა ტრიბუნისაკენ. როგორც იქნა, დავინახეთ ლენინი და გავოცდით.

წარმოდგენილი გვქონდა, რომ ჩვენს წინაშე წარსდგებოდა მაღალი ტანის კაცი, რომელიც თავისი გარეგნობით იმწამსვე მიიპყრობდა ყურადღებას. სცენაზე კი იდგა დაბალი, ჯმუხი, წითურ წვერულვაშიანი მელოტი კაცი. გეგონებოდათ, დარბაზი ჩამოინგრევა ამ მისალმებებისაგანო. ის კი ოდნავ იღიმებოდა, მოუთმენლად იქნევდა ხელს და საათზე უჩვენებდა — აქაოდა დრო მიდის, ნუ დავკარგავთ მას ტყუილუბრალოდო... და როგორც კი მიწყნარდა ეს ოვაციები, ენერგიულად დაიწყო, მე ვიტყოდი, მხიარულად წარმოთქვა სიტყვა, რომელიც ჩვენ, რა თქმა უნდა, იმწამსვე ჩავიწერეთ, და რომელსაც ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, ადვილად აღვიდგენ მეხსიერებაში:

— „ამხანაგებო, ჩვენ ახლა უნდა შევუდგეთ პროლეტარული სოციალისტური სახელმწიფოს შენებას“... ასე დაიწყო მან...

ეს არის ჩემი პირველი შთაბეჭდილება,— დაამთავრა ვილიამსმა.

ადამიანი-მაგნიტი

ლენინი არასოდეს არ მიილტვოდა პირველობისაკენ, არავითარ პირობებში არავის აგრძნობინებდა თავის უპირატესობას, მაგრამ მისი ჭკუა, მისი მრავალმხრივი ცოდნა, მისი გამოცდილება, მისი მიმზიდველობა, მთელი მისი მშვენიერი ბოლშევიკური ცხოვრება, რომელიც მთლიანად შესწირა რევოლუციას, მუდამ წინ აყენებდა მას და გაიძულებდა, ყოველი მისი სიტყვა გულისყურით მოგესმინა. მის თითქოსდა ბუნებრივ პირველობას აღიარებდნენ ისინიც, ვისაც იგი არ უყვარდა, ვინც მას ებრძოდა. ეს იყო მაგნიტივით მიმზიდველი ადამიანი, რომლისკენაც მიილტვოდნენ ადამიანთა გულები. თუმცა ლენინი იყო უდიდესი ინტელიგენტი და საყოველთაოდ ცნობილი სწავლული, მას თვლიდნენ ხალხის ნამდვილ ბელადად და მუშებსა და გლეხებს თავიანთ კაცად მიაჩნდათ. იგი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც მუშები და გლეხები საუბრის დროს ეძახდნენ არა ამხანაგ ლენინს, ან კიდევ ვლადიმერ ილიას ძეს, არამედ უბრალოდ — ილიჩს. ასე მიმართავდნენ მაშინ მათ წრეში ყველაზე საყვარელ, ყველაზე პატივცემულ და ნამდვილად თავიანთ ხალხს.

ლენინს არასოდეს არ ეშინოდა მეტოქეობის. მთელი თავისი მოღვაწეობის მანძილზე იგი ცდილობდა ერთობლივი მუშაობისაკენ მიეზიდა და შეემჭიდროვებინა ყველაზე ბრწყინვალე, დიდი ტალანტის, ნებისყოფისა და ენერგიის მქონე გამოჩენილი ადამიანები. იგი „თავს ევლებოდა“ ასეთებს, ახარებდა მათი წარმატება, ყოველნაირად უწყობდა ხელს მათი ავტორიტეტის ზრდას, მზად იყო ეპატიებინა მათთვის ადამიანური სისუსტე, თუკი, რა თქმა უნდა, ეს სისუსტე არ შეეხებოდა ბოლშევიკურ პრინციპებს. ლენინის თანდასწრე-

„სწავლა. სწავლა და სწავლა!"
ვ. ი. ლენინის გამოსვლა კომკავშირის III ყრილობაზე.

ბით თუ ვინმე შეეცდებოდა იმ ამხანაგის დასმენას, რომელიც ამ დროს იქ არ იმყოფებოდა, ანდა მის „უარყოფით თვისებებზე" ილაპარაკებდა, ლენინი მაშინვე, იქვე შეაწყვეტინებდა მოსაუბრეს, ვინც არ უნდა ყოფილიყო იგი, ან რა თანამდებობაც არ უნდა ჰქონოდა, და ეტყოდა:

— უმჯობესია გვიამბოთ ამ ამხანაგის პოლიტიკური მრწამსის შესახებ.



პ რ ე ზ ი დ ი უ მ შ ი. 1920 წელი.

პოლიტიკური მრწამსი! აი, რა იყო ვლადიმერ ილიჩისათვის უპირველესი და ყველაზე მთავარი ამა თუ იმ მუშაკის დახასიათებისას, მას სძულდა ბუნდოვანება, გაურკვევლობა. როცა ვინმეს რეკომენდაციას უწევდნენ, ეუბნებოდნენ, ესა და ეს კარგი კაციაო, მოუთმენლად, ირონიულად წამოიძახებდა „ჰმ-ჰმ“, და მაშინვე შეეკითხებოდა:

— რა შუაშია აქ „კარგი“? უმჯობესია ის გვითხრათ, როგორ ერკვევა იგი პოლიტიკურ საკითხებში.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. 1920 წელი.

პრინციპულობა, შეურიგებლობა

პრინციპულ საქმეებში, როცა საკითხი ეხებოდა ადამიანის პოლიტიკურ მრწამსს, ლენინი იყო მტკიცე, პირდაპირი და შეუდრეკელი. როგორც არ უნდა ჰყვარებოდა ადამიანი, რაგინდ ძველი მეგობრობაც არ უნდა ჰქონოდა მასთან, როგორ წარსულსაც არ უნდა დაეკავშირებია ისინი, არასდროს არ აპატიებდა ხოლმე პარტიული ხაზის გამრუდებას და ასეთ ადამიანს მანამ არ შეურიგდებოდა, სანამ ის თვითონ არ შეიგნებდა შეცდომებს და გამოსწორების გზას არ დაადგებოდა. როდესაც ლაპარაკი იყო პრინციპებზე, ლენინი წუთითაც არ დაფიქრდებოდა, ისე გაწყვეტდა მასთან ძველ მეგობრობას, გააცამტვერებდა მის ადრინდელ ავტორიტეტს.

ცნობილია, როგორ უყვარდა მას ახალგაზრდობაში პლეხანოვი და სიცოცხლის ბოლომდე რა პატივისცემით ეპყრობოდა მის მარქსისტულ შრომებს. როდესაც პლეხანოვის რომელიმე ნაცნობი, ანდა მეგობარი მოვიდოდა ლენინთან, იგი დაწვრილებით გამოჰკითხავდა პლეხანოვის ჯანმრთელობისა და მისი ცხოვრების ამბებს, მართალია, იგი ამგვარ ყურადღებას იჩენდა, მაგრამ არც ის ავიწყდებოდა, დაუნდობლად გაემათრახებინა პლეხანოვი მუშათა კლასის საქმეების ღალატისათვის, ქმედითი მებრძოლი მარქსიზმისაგან დაცილებისათვის, არ ავიწყდებოდა მისი შეცდომების მხილებაც.

აი, ლენინის პრინციპულობისა და შეურიგებლობის კიდევ უფრო განსაცვიფრებელი მაგალითი. ლენინს თავის დროზე გულწრფელად უყვარდა და აფასებდა კიდეც მარტოვს. მასთან აკავშირებდა რევოლუციური ახალგაზრდობა, ერთობლივი მოღვაწეობა, რომელიც „მუშათა კლასის განმათავისუფლებელი ბრძოლის კავ-

შირის“ დაარსების დროიდან დაიწყო. ამავე დროს პარტიაში არ მოიძებნებოდა ადამიანი, რომელიც ასე პირდაპირ და უკმეხად გამოსულიყო მარტოვის მენშევიკური შეხედულებების წინააღმდეგ, ასე პირდაპირ და შეუბრალებლად ემხილებინა იგი. ლენინის მეუღლე და უახლოესი მეგობარი ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია, რომლის მიმართ ვლადიმერ ილიას ძე მუდამ გულახდილი იყო, იგონებდა ლენინის ამ თვისებას და ამბობდა: „...ილიჩის აღელვება უახლოესი ამხანაგების მტრულ შეხედულებებსა და შეძახილებსაც არ შეეძლო, მაგრამ იგი იყო ცოცხალი ადამიანი და იმ ადამიანებთან განხეთქილებას, რომლებთანაც მანამდე ხელიხელჩაკიდებული მუშაობდა, მძიმედ განიცდიდა, ღამე არ ეძინა, ნერვები ეშლებოდა“...

კომკავშირის მესამე ყრილობაზე გამოსვლისას ლენინმა თქვა: „ზნეობა ჩვენთვის ექვემდებარება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს“. ეს არის ახალგაზრდობისადმი მისი ერთ-

ლენინი შაბათობაზე.

ილიჩი და ტროფიმიჩი. 1920 წელი.

ერთი ძირითადი ანდერძი. მთელი მისი სიცოცხლე წარმოადგენდა მუშათა კლასის საქმისათვის თავდადებული სამსახურის მაგალითს, რომელსაც შეეძლო პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესებს დამორჩილებოდა.

იგი თითქმის არასდროს ცდებოდა ადამიანებში. ორი-სამი წინადადების შემდეგ მას გარკვეული წარმოდგენა ჰქონდა თანამოსაუბრეზე და მაშინვე გამონახავდა ხოლმე მასთან საერთო ენას. იგი

დაჟინებით ჩააცქერდებოდა ადამიანს და მთლიანად შეიცნობდა მას, შეიცნობდა მის ღირსებებსა და ნაკლოვანებებს, ძლიერსა და სუსტ მხარეებს. ამ დაკვირვების შემდეგ ცდილობდა ადამიანისთვის მიეჩინა თავისი შესაფერისი ადგილი, სადაც შესაძლებლობა ექნებოდა გამოემჟღავნებინა რაც კი რამ კარგი გააჩნდა. მათ სუსტ მხარეებს, ვისთანაც მუშაობდა, თვალყურს ადევნებდა, კონტროლს უწევდა, ცდილობდა არ განვითარებულიყო.

ლენინთან ახლომყოფი ადამიანები განცვიფრებულნი იყვნენ მისი შორსმჭვრეტელობით. ამის ნიმუშად გამოდგება მისი ცხოვრების უკანასკნელ თვეებში კარნახით დაწერილი „წერილი ყრილობისადმი“, რომელიც ცნობილია სათაურით „ანდერძი“. გორკი ლენინის ამ თვისებაზე საკმაოდ გაოცებული წერდა: „ყოველთვის არ გინდოდა დაგეჯერებია მისი წინასწარმეტყველება და ხშირად ის გწყინდა კიდეც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრმა ადამიანმა გაამართლა მისი სკეპტიკური დახასიათება“.

მოვალეობის ადამიანი

ვლადიმერ ილიას ძე იყო მოვალეობის ადამიანი ამ სიტყვის დიდი მნიშვნელობით. იმისათვის რომ იყო პუნქტუალური, უნდა გესმოდეს რევოლუციური მოვალეობა.

ხალხის მიმართ მომთხოვნი, ლენინი უპირველესად საკუთარი თავისადმი იყო მკაცრი მომთხოვნი. მოითხოვდა რა პარტიის წევრებისაგან ცკ-ს დადგენილებათა უსიტყვო შესრულებას, უპირველეს ყოვლისა თვით ასრულებდა მას. საბჭოთა კანონის სადარაჯოზე მდგარი, იგი პირველი ემორჩილებოდა ამ კანონს. ასეთი იყო დიდსა თუ მცირე საქმეში. ამ ამბის მოთხრობისას ვერაფრით გვერდს ვერ ავუვლით ერთ ძლიერ დამახასიათებელ მოვლენას: დერეფანში, რომელსაც ლენინის ბინაში შევყავართ, კრემლის კომენდანტმა გუშაგობა დააწესა. იმ დღეს, რომელზეც ლაპარაკია, საგუშაგოზე იდგა სცაკ-ის სკოლის ახალგაზრდა კურსანტი, რომელიც შესახედავად არ იცნობდა ლენინს. იგი წინ გადაუდგა ვლადიმერ ილიას ძეს და მკაცრად უთხრა:

— საშვი.

— აგერ, ჩემი ბინის კარი, — გაკვირვებით მიუგო ლენინმა და კარისაკენ ხელი გაიშვირა.

— ეს მე არ ვიცი, — უპასუხა გუშაგმა. — ნაბრძანები მაქვს უსაშვოდ არავინ გავატარო.

ვლადიმერ ილიას ძე უსიტყვოდ გაემართა კომენდატურისაკენ, აიღო ერთჯერადი საშვი და შევიდა ბინაში.

საგუშაგოს ვადაბარებისას კურსანტმა კომენდატურის მორიგეს მოახსენა, მოვიდა ერთი კაცი, რომელიც უსაშვოდ შეეცადა

საღამოს ფოსტა. (ვ. ი. ლენინი და მ. ი. ულიანოვა).

ლენინის ბინაში შესვლასო. რა თქმა უნდა, კომენდატურაში უკვე ყველამ იცოდა ეს ამბავი.

— მერე იცი, ვინ იყო ის? — მკაცრად ჰკითხა მორიგემ.

— არა.

— სახკომსაბჭოს თავმჯდომარე, ლენინი.

კურსანტი ჭარხალივით გაწითლდა. იგი მაშინვე გაეშურა ლენინთან ბოდიშის მოსახდელად. მან მშვიდად, სერიოზულად მოუსმინა კურსანტს და მოჭუტული თვალები აუციმციმდა.

— არა, — უთხრა ვლადიმერ ილიას ძემ, — თქვენ არაფერი გაქვთ საბოდიშო. კომენდანტის განკარგულება ანდა ბრძანება კრემლის ტერიტორიაზე კანონია. როგორ, მე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარემ, დავარღვიო ეს კანონი? მე ვიყავი სწორედ დამნაშავე, თქვენ კი, ამხანაგო, მართალი.

ვლადიმერ ილიას ძე თავისი ახლობლების მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენდა, რის გამოც საკუთარი თავი ხშირად ავიწყდებოდა. ზოგჯერ ძალზე გადაიქანცებოდა მუშაობით, რასაც თავის ტკივილი და უძილობა მოჰყვებოდა ხოლმე. საქმე მუდამ ბევრი ჰქონდა და მისგან მოწყვეტა შეუძლებელი ხდებოდა. მის მდგომარეობას რომ ხედავდა, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული ხშირად ურეკავდა ტელეფონით პარტიის ცენტრალურ კომიტეტს. ცკ-ს არა ერთხელ მიუღია გადაწყვეტილება: ვ. ი. ულიანოვს (ლენინს) აუცილებელი დასვენებისათვის მიეცეს ამდენი და ამდენი დღე. ცკ-დან მას ტელეფონით ატყობინებდნენ:

— ვლადიმერ ილიჩ, მიღებულია გადაწყვეტილება, აუცილებელი დასვენებისათვის მოგეცათ რამდენიმე დღის შვებულება.

პასუხად ისმოდა ლენინის დამახასიათებელი „ჰმ“, „ჰმ“, „ჰმ“, ამჯერად ამას ამბობდა გაბრაზებული და თან ეკითხებოდა:

— მიბრძანეთ, როდიდან შევუდგე დასვენებას?

ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, თუნდაც ეს პირადად ლენინს შეხებოდა, იგი განსაკუთრებული სერიოზულობით ეკიდებოდა.

არქივში ახლაც ინახება საკვირველი საბუთი, რომელიც მეტყველებს იმაზე, თუ როგორ მკაცრად ექცეოდა ლენინი არსებული კანონებიდან ყოველივე თვითნებურ გამონაკლისს, უპირველეს ყოვლისა კი იმას, რაც პირადად მას შეეხებოდა. ფულის გაუფასურებასთან დაკავშირებით, 1918 წლის მარტიდან მასთან შეუთანხმებლად ვლადიმერ ილიას ძეს გაუდიდეს ხელფასი. აი, რა უპასუხა მათ ლენინმა:

„სახალხო კომისართა საბჭოს მდივანს ნიკოლოზ პეტრეს ძე გარბუნოვს.

ვინაიდან თქვენ არ შეასრულეთ ჩემი დაჟინებითი მოთხოვნა — გეჩვენებინათ ჩემთვის, თუ რა საფუძველზე გამიდიდეთ ჯამაგირი 1918 წ. 1 მარტიდან თვეში 500-დან 800 მანეთამდე, და ვინაიდან ეს გადიდება, რაც თქვენ თვითნებურად მოახდინეთ საბჭოს საქმეთა

გამოსვლა. 1920 წელი.

წერილი მუშკორისაგან.
1920 წელი.

მმართველ ვლადიმერ დიმიტრის ძე ბონჩ-ბრუევიჩთან შეთანხმებით, აშკარად უკანონოა და სახალხო კომისართა საბჭოს 1917 წლის 23 ნოემბრის დეკრეტის პირდაპირ დარღვევას წარმოადგენს, გიცხადებთ სასტიკ საყვედურს.

სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე:
ვ. ულიანოვი (ლ ე ნ ი ნ ი).

ეს ბრძანება დაწერილია მშრალი, თუ შეიძლება ასე ითქვას, საგანგებო კანცელარული ენით. და სწორედ ეს განუმეორებელი ცოცხალი შტრიხებით ავსებს ლენინის სახეს.

ზეადამიანური ადამიანი

ლენინი — უდიდესი მეცნიერი, მგზნებარე რევოლუციონერი, ბრძენი სახელმწიფო მოღვაწე — იყო სოციალისტური სახელმწიფოს კანონთა ზედმიწევნით ზუსტი დამცველი. ყოველივე ამასთან ერთად პირად ცხოვრებაში იგი არ იყო პედანტი, იგი ადამიანებთან იყო ადამიანი, ლიტერატურის, ხელოვნების, მუსიკისა და ბუნების სიმშვენიერეს მთელი არსებით განიცდიდა. ლენინი — მონოლითი-ადამიანი, მასში ყოველივე ჰარმონიულად იყო შერწყმული და თითქოს ერთიმეორეს ავსებდა. ის იყო ენერგიითა და სიცოცხლით სავსე ადამიანი. იგი, გოლიათური ძალ-ღონის პატრონი, თითქოს ვერც კი გრძნობდაო სიმძიმეს, ეწეოდა გიგანტურ საქმეთა ტვირთს და მასთან ერთად ჭეშმარიტ მსოფლიო დიდებას.

ჯერ კიდევ სიყმაწვილეში, როგორც ზემოთ უკვე ვთქვით, ვლადიმერ ულიანოვი გარშემომყოფთ ანცვიფრებდა თავისი დაუშრეტელი ენერგიით. იგი ბრწყინვალედ სწავლობდა, დაინტერესებული იყო ყველაფრით, კითხულობდა უამრავ წიგნს, ამასთან ერთად იტაცებ-



თეზისებზე მუშაობის დროს.
1920 წელი.

და ყოველგვარი საბავშვო თამაშობანი: ცურვა, ტანვარჯიში, ჭადრაკი. შემდგომ ეჯიბრებოდა კიდეც სამარას საუკეთესო მოჭადრაკეებს.

ჩვენ უკვე ვთქვით, როგორ დაძაბული მუშაობდა იგი უნივერსიტეტში საგამოცდო კურსის ჩაბარებისათვის მზადების დროს: ყოველი დღის ულუფას რომ წაიკითხავდა და შეითვისებდა, შეამოწმებდა ნასწავლს, შემდეგ მხიარულებასაც არ ივიწყებდა. ვლადიმერ ულიანოვი ყველასგან ყველაფრით განსხვავდებოდა. ოჯახში იგი იყო ყველაზე ხალისიანი: ხუმრობდა, ყველას გადასდებდა სიცილს, მხნეობას. ბანაობისას ხომ ციცაბო ნაპირიდან ყიჟინით გადაეშვებოდა წყალში, გატაცებით ვარჯიშობდა ღერძზე, რომელიც თვითონ დადგა შუაბაღში, ახალგაზრდებთან ერთად გულიანად მღეროდა, მუდამ ისწრაფოდა მხიარულებისკენ, უყვარდა ხალისიანი მელოდიები და სიმღერები, რომლებშიაც ჟღერდა გამბედაობა, სიმამაცე, დიდი აღმავლობა, მოწოდება.

უფრო ხშირად, იგი თავის საყვარელ დასთან, ოლგასთან ერთად, ასრულებდა ცნობილ სიმღერას „მცურავი“, რომლის ტექსტი ეკუთვნოდა პოეტ იაზიკოვს.

...მაგრამ გაღმა მხოლოდ აღწევს,
სულით მტკიცე, სულით მყარი!..
მარჯვედ, ძმებო, ქარით სავსე
ჩემი აფრა მტკიცე არი...

ლენინს კარგი სმენა ჰქონდა. მუსიკას ღრმად ჩასწვდებოდა, შეიგრძნობდა კიდეც, და როცა მარტო დარჩებოდა ხოლმე, მუდამ სტვენდა ან ღიღინებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში მას დრო არ ჰქონდა დასწრებოდა საჯარო კონცერტებს. თუკი ამის საშუალება მიეცემოდა, კარგ მუსიკას ნეტარებით უსმენდა. ერთ-ერთი შინაურული კონცერტის შემდეგ, სადაც საუკეთესო პიანისტი ასრულებდა ბეთჰოვენს, ლენინმა აღტაცებით წარმოთქვა:

— „აპასიონატაზე“ კარგი არაფერი მსმენია, ყოველდღე სია-

მოვნებით მოვუსმენ, შესანიშნავი, ზეადამიანური მუსიკაა. მე მუდამ ამაყად, შესაძლოა გულუბრყვილოდაც ვფიქრობ: აი, როგორი საოცრების შექმნა შეუძლია ადამიანს!

Appassionata.

ამის თქმა შეეძლო მხოლოდ იმას, ვისაც არა მარტო უყვარდა, არამედ მთელი სულითა და გულით გამსჭვალული იყო მუსიკით. ლენინი ისე ძლიერად განიცდიდა მუსიკას, რომ განსაკუთრებით დაძაბული მუშაობის დროს უარს ამბობდა დასწრებოდა საოჯახო კონცერტებსაც კი.

ერთხელ, როდესაც მისმა მეგობარმა ძველმა ბოლშევიკმა შეამჩნია, როგორ იღლებოდა ვლადიმერ ილიას ძე, ჰკითხა:

— ხანდახან მაინც რატომ გულს არ გადააყოლებთ კარგ მუსიკას?..

ლენინმა თავი გაიქნია და უპასუხა:

— არა, არა, არ შემიძლია. მუსიკა ძლიერად მოქმედებს ჩემზე...

შორეულ ციმბირში თუ ემიგრაციაში ყოფნისას ვლადიმერ ილიას ძე მუდამ ცდილობდა თავისუფალი დრო ბუნების წიაღში გაეტარებია; ყოფილიყო ის თუნდაც ციმბირის ვრცელი ტაიგა, ანდა გადამწვანებული ლონდონის პარკები, შვეიცარიის მთები, ანდა პოლონეთის კარპატები, ფინეთის ჭალების ღარიბი მცენარეულობა,

ანდა უბრალო. მაგრამ მისთვის მუდამ სანუკვარი ცენტრალური რუსეთის ტყეები, — ბუნება მთელი ძალით იზიდავდა ლენინს, ყოველი თავისუფალი საათი, რომელიც მას ცხოვრებაში იშვიათად ჰქონია, სურდა გაეტარებია სუფთა ჰაერზე — ტყეში, მთებში, მდინარეზე, ტბაზე.

ადვილი წარმოსადგენია ლენინი მონადირის ჩექმებით, მხარზე თოფგადაკიდებული. მაგრამ იგი არ იყო მონადირე ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თოფს ისე, ტყუილად გადაიკიდებდა და დახეტიალობდა ჭალებში, ჩამოჯდებოდა კამკამა წყლის პირას. მაგრამ აქაც, სუფთა ჰაერზე, განუწყვეტლივ ფიქრობდა. ხეტიალობდა ტყეებში და მთებზე, ბუნებასთან განმარტოებული და ყურადღებით ისაზრებდა თავის მომავალ სტატიებს, წიგნებს, სიტყვებს, პოლემიკურ გამოსვლებს. ერთი მისი ახლო ნაცნობი გვიხსნის ლენინის ამ ქალაქგარეთა ექსკურსიების საიდუმლოებას და არ იშურებს იუმორით სავსე სიტყვებს: „ადის თვალწარმტაც მთაზე და ფიქრობს არა მთაზე, არამედ მენშევიკებზე“.

თავის სანადირო ლაშქრობებში ლენინი არასოდეს ყოფილა მარტო, იგი ცდილობდა ამ დროს გულითადი საუბარი გაება თანამგზავრებთან, მეთევზეებთან, ეგერებთან, ქოხის მეპატრონე გლეხებთან, სადაც იგი ღამეს ათევდა. მას სულ არ უჭირდა უბრალო ადამიანებთან დაახლოება, მალე იმსახურებდა მათ სიმპათიას, ისინიც სიამოვნებით გადაუშლიდნენ ხოლმე გულს.

გორკი თავის მოგონებებში ერთ ასეთ ამაღელვებელ ამბავს ყვება. ეს მოხდა ზღვაზე, კუნძულ კაპრის ნაპირებთან. კაპრელმა მეთევზეებმა ლენინი მაშინვე მიიღეს თავიანთ წრეში და თითით თევზის ჭერაც ასწავლეს. ესე იგი ანკესით, რომელიც ჯოხზე კი არ ეკიდა. იქაური ჩვეულებისდა მიხედვით, ანკესის თოკს თითზე მიიბამდნენ ხოლმე.

— ცანცარებო: დრინ-დრინ, დაებით?

ეს ალბათ ნიშნავდა, რომ როცა თითი შეტოკდებოდა, რომელზედაც ანკესის თოკი ეკიდა, საჭირო იყო ანკესის აკვრა. და აი, წამო-

ილია. 1920 წელი.

ი ლ ი ჩ ი.

ეგო დიდი თევზი. ლენინმა მოხდენილად აიქნია ხელი; ეწეოდა თევზს ნავისაკენ და ბავშვივით აღტაცებული, აზარტში შესულ მონადირეს ავით გაჰყვიროდა:

— აჰა! დრინ-დრინ!

მეთევზეები სიმპათიით გაიმსჭვალნენ ამ მხიარული, გულითადი რუსი ადამიანის მიმართ იმ მოკლე ხანში, რომელიც ლენინმა მათთან გაატარა. ილიჩის გამგზავრების შემდეგაც დიდხანს არ ივიწყებდნენ მას და მუდამ ეკითხებოდნენ გორკის:

— როგორ არის სინიორ დრინ-დრინი? მეფე ვერ შეიპყრობს მას. ხომ?

მძიმე ავადმყოფობის დროსაც კი, როდესაც გორკაში სავარძლით გასეირნების ნებას აძლევდნენ, ლენინი მიჰყვებოდა ხეივანს და... ეძებდა სოკოებს.

გოელროს რუკასთან.

მხატვრული ლიტერატურის სიყვარული

ლენინს მხატვრული ლიტერატურა პატარაობიდანვე უყვარდა და ეს სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა. ზოგიერთ მის ნაცნობს ეჭვი შემორჩენოდა, თითქოს იგი „მხოლოდ სერიოზულ წიგნებს" ეწაფებოდა და თავის დღეში არც ერთი რომანი არ ჰქონდა წაკითხული. ამ ხმებმა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას ყურამდეც მიაღწია, მაგრამ როცა იგი ლენინის მეუღლე გახდა, დარწმუნდა, რომ „...ყოველივე ეს წმინდა წყლის ლეგენდაა. ვლადიმერ ილიჩი არამცთუ კითხულობდა, ბევრჯერ ხელმეორედ გადაიკითხავდა ხოლმე ტურგენევს, ტოლსტოის, ჩერნიშევსკის — „რა ვაკეთოთ?" საერთოდ. ბრწყინვალედ ესმოდა და უყვარდა კლასიკოსები." კრუპსკაია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ „შემდეგში, როცა ხელისუფლებას ბოლშევიკები ჩაუდგნენ სათავეში, ლენინმა სახელგამს წინადადება მისცა — ხელახლა გამოეცათ კლასიკოსები".

მხატვრული ლიტერატურა ვლადიმერ ილიჩისათვის მარტო სიამოვნების საგანს როდი წარმოადგენდა, არამედ ცხოვრების შესაცნობი ქმედითი საშუალებაც იყო. ერთ-ერთ მოგონებაში აი რას ვკითხულობთ. 1904 წელი. ჟენევა. პატარა, იაფფასიანი კაფე. მაგიდას უსხედან ლენინი, ვოროვსკი, გუსევი და თვით ამ მოგონების ავტორი. ლაპარაკია მსოფლიო ლიტერატურაზე, იმ წიგნების ბედზე, რომელთაც არასოდეს ჰქონიათ დიდი წარმატება, საერთოდ სასარგებლონი არიან, მაგრამ რატომღაც სწრაფად დამჭკნარან და დავიწყებას მისცემიან. ლენინი არ ერეოდა საუბარში. უყურადღებოდ გვერდზე იხედებოდა. მაგრამ აი, მოგონების ავტორმა ამგვარ „დამჭკნარ" წიგნებს მიაწერა ნ. გ. ჩერნიშევსკის „რა ვაკეთოთ?" ამის

ისმენს. 1921 წელი

გაგონებაზე უცებ ლენინი ფეხზე წამოიჭრა, აჭრიალდა სკამი. სახე გაუქვავდა, ღაწვები გაუწითლდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ძალიან გაჯავრებული იყო.

— თქვენ გესმით თუ არა, რას ლაპარაკობთ? — წამოიძახა მან. — როგორ შეიძლება თავში მოგვიდეთ საოცრად სულელური აზრი — პრიმიტიული და უნიჭო უწოდოთ ჩერნიშევსკის ნაწარმოებს. ჩერნიშევსკი ხომ მარქსამდე სოციალიზმის ყველაზე დიდი და ნიჭიერი წარმომადგენელია? მას თვითონ მარქსმა უწოდა დიდი რუსი მწერალი.

— განა ამ წიგნისათვის უწოდა დიდი მწერალი? მარქსს, ალბათ, არც წაუკითხავს „რა ვაკეთოთ?“ — თავის გამართლება სცადა უხეირო მოკამათემ.

— საიდან იცით, რომ მარქსს იგი არ წაუკითხავს? მე ვაცხადებ: დაუშვებელია, რომ „რა ვაკეთოთ?“-ზე ვთქვათ, პრიმიტიული და უნიჭოაო. მისი გავლენით ათასობით ადამიანი გახდა რევოლუციონერი... მაგალითად, ამ წიგნმა მე და ჩემი ძმა ორივე გაგვიტაცა. მე ხომ სულ ამაფორიაქა. როდის წაიკითხეთ თქვენ „რა ვაკეთოთ?“ ეს წიგნი არ უნდა წაიკითხოს, ვისაც ბაგეზე ჯერ კიდევ არ შეშრობია რძე... მე, ვგონებ, პირველად 14 წლისამ ვცადე მისი წაკითხვა. მაგრამ მაშინ წავიკითხე სულ უნაყოფოდ, ზერელედ. მის ნამდვილ კითხვას

შევუდექი ჩემი ძმის სიკვდილით დასჯის შემდეგ, ვიცოდი, რომ ჩერნიშევსკის რომანი მისი ერთ-ერთი უსაყვარლესი ნაწარმოები იყო. ამ წიგნს ვეცნობოდი რამდენიმე დღე კი არა. რამდენიმე კვირა... ეს ნაწარმოები იმდენ საზრდოს აძლევს ადამიანს, რომ მთელი ცხოვრების მანძილზე ეყოფა.

— მაშასადამე, — იკითხა ამ სიტყვებით მეტად დაინტერესებულმა გუსევმა. — თქვენ შემთხვევით არ გიწოდებიათ 1902 წელს თქვენი წიგნისთვის „რა ვაკეთოთ?"

— განა ეს ძნელი მისახვედრია? — ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო ჯერ ისევ განრისხებულმა ლენინმა...

ეს შეფასება გვიჩვენებს, როგორ კითხულობდა ლენინი მხატვრულ ნაწარმოებს, როგორ ესმოდა და რა მაღლა აყენებდა მის დიდ აღმზრდელობით ძალას. პირადად ლენინს მხატვრული თხზულებები არა მარტო სიამოვნებას ჰგვრიდა, არამედ იდეოლოგიური ბრძოლის იარაღად იყენებდა მას. თავის ნაშრომებში და განსაკუთრებით მოხსენებებსა და სიტყვებში აზრი რომ უფრო გასაგები ყოფილიყო, იგი ხშირად ლიტერატურულ სახეებს მიმართავდა. კლასიკოსებიდან ზეპირად ამბობდა ადგილებს. ლენინი ასე ბრწყინვალედ იცნობდა მხატვრულ ლიტერატურას.

გამოთვლილია, რომ თავის თხზულებათა კრებულის ოცდათხუთმეტ ტომში იგი ცხრაასჯერ და მეტჯერაც იყენებს მხატვრულ ლიტერატურას, მოჰყავს ციტატები, დაპირისპირებას ახდენს და ამიტომ სამოცდა ათზე მეტ მწერლის მხატვრულ ნაწარმოებს იყენებს.

განსაკუთრებით ხშირად მიმართავდა მ. ე. სალტიკოვ-შჩედრინის, ა. ს. პუშკინის, ნ. ვ. გოგოლის, ა. ს. გრიბოედოვის, ი. ა. კრილოვის, ი. ს. ტურგენევის, ა. პ. ჩეხოვის წიგნებს. ლენინი ღრმად სწვდებოდა სატირის გამანადგურებელ ძალას და ამიტომ, ლიტერატურულ სახეთა შორის, რომელთაც იგი განსაკუთრებული ხალისით იყენებდა. არის შჩედრინის იუდუშკა გოლოვლიოვი, ოსტროვსკის კიტი კიტიჩი, გონჩაროვის ობლომოვი, ჩეხოვის დუშეჩკა და „კაცი ფუტლიარში".

წიგნის კითხვის დროს.

რევოლუციური ოპტიმიზმი

ამბობენ, სიცილში მჟღავნდება ადამიანის ბუნებაო. იუმორი ლენინს ბავშვობიდანვე უყვარდა, ხუმრობის გაგებაც იცოდა და დაფასებაც. მისი ნაცნობები ამბობდნენ, იშვიათად თუ შეხვდებით ისეთ ადამიანს, რომელიც ასე მხიარულად და გადამდებად იცინოდეს, როგორც ლენინი.

ა. ვ. ლუნაჩარსკი დიდი ხნის ნაცნობი იყო ვლადიმერ ილიას ძის და აღტაცებით წერდა იმაზე, თუ „...როგორ გადამდებად, მომხიბლავად, ბავშვურად ხითხითებდა იგი, რა ადვილად შეიძლებოდა მისი გაცინება და როგორ უყვარდა სიცილი, რომელიც გამოხატავს ადამიანის სიძნელეებზე გამარჯვებას! ყველაზე საშინელ წუთებში, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, ლენინი იყო მუდამ მშვიდი და მუდამ ილტვოდა მხიარული სიცილისაკენ". ლენინი ხშირად ისე გულიანად იცინოდა, რომ ცრემლები სცვიოდა. იგუდებოდა სიცილით და თანამოსაუბრეთაც გააცინებდა ხოლმე, და ეს სიცილი თითქოს ამჟღავნებდა მის მშვენიერ ხასიათსა და ჯანსაღ სულს.

საერთოდ, ლენინი ბუნებით ოპტიმისტი იყო, მაგრამ მისი ოპტიმიზმი განსაკუთრებული, ღრმა, რევოლუციური, ლენინური ოპტიმიზმი ფესვგადგმული იყო არა მარტო მის ხასიათში, არამედ მართალი საქმის გამარჯვების ურყევ რწმენაში, ბრძოლის დიადი მიზნების რწმენაში, ხალხის სიყვარულში.

მამაცი და პატიოსანი, იგი მუდამ ცდილობდა სიმართლისათვის თვალში ეცქირა. რარიგ მწარეც არ უნდა ყოფილიყო და თუნდაც საშიში ეს სიმართლე, იგი არ მალავდა მას არც გარშემომყოფთაგან,



გვიანი საათები. 1921 წელი.

არც ფართო მასებისაგან. ამიტომ იყო, რომ წუთითაც არ შერყეულა მისი რწმენა — მილიონობით მუშათა და გლეხთა რევოლუციური ენერგიის გადამწყვეტ მნიშვნელობაში, რომელიც შთააგონა მათ ბოლშევიკურმა პარტიამ.

1917 წლის ივლისის მძიმე დღეებში გ. კ. ორჯონიკიძემ ინახულა ლენინი, რომელიც იმ დღეებში, თითქოს მთიბავი იყო, ტბა-რაზლივის ახლოს კარავში იმალებოდა.

ვლადიმეო ილიას ძეს ყურადღებით მოუსმინა ორჯონიკიძეს, რომელიც მეტად სამწუხარო ამბებს ყვებოდა. მაგრამ ამ დროს ლენინს არ დასტყობია არც დაბნეულობა, არც უგუნებობა. იგი იჯდა კუნძზე. ჩაფიქრებული წიწკნიდა ბალახს და დედაქალაქში მომხდარი ამბებით ძალიან დაინტერესებული კითხვას კითხვაზე აძლევდა. შემდეგ ადგა და მტკიცედ წარმოთქვა:

— მენშევიკთა საბჭოებმა დისკრეტიზაცია განიცადეს; ორი კვირის წინ მათ შეეძლოთ ძალაუფლება აეღოთ უმტკივნეულოდ. ახლა ისინი ხელისუფლების ორგანოს აღარ წარმოადგენენ. მათ უფლებები წაერთვათ.—შემდეგ, კიდევ უფრო შთაგონებულმა, თითქოს უკვე რაღაც ნათელი გადაწყვეტილებით დაიმედებულმა წარმოთქვა: — ახლა ძალაუფლება შეიძლება ავიღოთ მხოლოდ შეიარაღებული აჯანყების გზით, დიდხანს ლოდინი არ დაგვჭირდება. აჯანყება მოხდება არა უგვიანეს სექტემბერ-ოქტომბრისა...

ორჯონიკიძე იგონებს: „ყველაფერი ეს მე მოვისმინე დაძაბული ყურადღებით, საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ეს-ეს არის ჩვენ გაგვანადგურეს, ის კი წინასწარმეტყველებს გამარჯვებით დამთავრებულ აჯანყებას, რომელიც ორი თვის შემდეგ უნდა მოხდეს“.

დიახ, ლენინი გულს არ იტეხდა მძიმე წუთებშიაც. პირიქით, სიძნელეები მას უფრო მეტ ენერგიას მატებდა. ეს ენერგია ამშვიდებდა მათ, ვინც შედრკებოდა. იგი შთააგონებდა ადამიანებს ახალი ბრძოლებისათვის. ისეთი გადამდები იყო ლენინის ეს ოპტიმიზმი, რომ ძალაუნებურად გავლენას ახდენდა ისეთ ადამიანებზეც კი, რომელნიც ძალიან შორს იდგნენ ბოლშევიზმისაგან.

სწორედ შუა ნგრევისა და შიმშილობის დროს ინახულა ჰერბერტ უელსმა ლენინი კრემლში. ცნობილი ინგლისელი მწერალი, რომელიც სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობდა, შიშსა და პანიკას შეეპყრო. რევოლუციისაგან აოხრებული რუსეთი მას ჩასაძირად განწირულ გემად წარმოედგინა. უელსს ეგონა, რომ იღუპება არა მარტო ევროპის უდიდესი სახელმწიფო, არამედ მთელი კაცობრიობის ცივილიზაცია და ამის მოწამე თვითონ იყო.



ვ. ი. ფანცხავა.

ლენინი მას თავაზიანად და გულღიად შეხვდა. მან სტუმარი სავარძელში ჩასვა, თვითონ კი, ჩვეულებისამებრ, ჩაეშვა მოპირდაპირე სავარძელში. ინგლისურ ენაზე მშვიდად და გულახდილად, სულ თავისუფლად უპასუხა უელსის ყველა შეკითხვაზე. და მერე, კიდევ უფრო გატაცებით გადაუშალა მას რუსეთის ელექტროფიკაციის გეგმა.

მწერალი, რომელიც ავტორია უამრავი ფანტასტიკური რომანისა, განცვიფრებული დარჩა. როგორ? იქ, კაბინეტის ფანჯრების მიღმა უზარმაზარი და, როგორც მას წარმოედგინა, ქაოსში გახვეული ქვეყანაა. იქ შიმშილია, სიცივე, წყვდიადი, აყრილი რკინიგზები. ჩიხში მდგარი დაჟანგული ორთქლმავლები. აქ კი, რუსი ბოლშევიკების სახელგანთქმული ბელადი, რატომღაც ლაპარაკობს ელექტროფიკაციაზე, ტრაქტორებზე, ახალ კომუნისტურ მრეწველობაზე.

მეოცნებე მწერალს ფანტაზია აღარ ეყო.

შემდეგში, როცა უელსი ამ საუბარს იგონებდა, თავის წიგნში „რუსეთი წყვდიადში“ წერდა: რუსეთის ელექტროფიკაციის წარმოდგენა, რომელზეც ლენინი მეუბნებოდა, შესაძლო იყო მხოლოდ „ზეფანტაზიის მეშვეობით. რანაირ ჯადოსნურ სარკეში არ ჩავიხედე, მაგრამ ვერა და ვერ შევძელი დამენახა რუსეთი მომავალში. კრემლში კი, ამ ტანდაბალ ადამიანს შესწევდა ეს უნარი.“ უელსმა განაცხადა, ჩემი გონება უძლურია მიწვდეს, ირწმუნოს ლენინის ოცნებაო. მაგრამ მაინც აღიარა: „იგი ისე მგზნებარედ ლაპარაკობდა, ვიდრე მას ვუსმენდი, თითქმის ვირწმუნე, რომ ეს შესაძლებელი იყო.“

თითქმის ვირწმუნე! რამდენად გადამდები იყო ლენინის რევოლუციური ოპტიმიზმი, როგორი დამაჯერებელი იყო მისი მსჯელობის ლოღიკა, როგორ სწამდა მას თავისი ხალხის შემოქმედებითი ძალა, თავისი პარტიის პოლიტიკის გამარჯვება, რომ შესძლო ყოველივე ნანახით დაშინებული და სულდამძიმებული, ძველი და ახალი ცრურწმენებით გამსჭვალული ბურჟუაზიული მწერალი „თითქმის დაერწმუნებია“ ჰოელროს გეგმის რეალობაში!

შ ე ვ ა მ ო წ მ ო თ. 1921 წელი.

უელსმა ლენინს უწოდა „კრემლის მეოცნებე“.

დიახ, მარქსისტი, უკიდურესი მატერიალისტი, დიდი მეოცნებე, იგი იყო ადამიანი, რომლის გენიალურმა აზრმა თითქოს გაფანტა მომავლის ბურუსი, დაინახა თავისი ხალხის და მთელი კაცობრიობის კეთილი მომავალი.

ლენინის მეუღლე და მეგობარი

როდესაც მთელ რიგ მოგონებებს გადაავლებ თვალს და ცდილობ, ცოცხლად წარმოიდგინო ლენინი, მის გვერდით მუდამ განუყოელად დგას მისი მეუღლე, მისი მეგობარი, მისი ამხანაგი — ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია. ამ ორ ადამიანს აკავშირებდა არა მარტო ცოლ-ქმრობის უღელი, არა მარტო ერთად განვლილი სახიფათო, ზოგჯერ არაადამიანური მძიმე მუშაობა, არამედ უფაქიზესი მეგობრობა და ის სრული ურთიერთგაგება, რომელიც ოჯახში უდიდეს ბედნიერებად ითვლება.

ჩვეულებრივად, ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს იცნობენ მისი ცხოვრების უკანასკნელი წლების პორტრეტის მიხედვით — ხანშიშესული, დაღლილი, ძალიან უბრალოდ ჩაცმული, შეშუპებული, ავადმყოფური სახით და ამობურცული, უსაზღვროდ კეთილი თვალებით. ბევრმა არც კი იცის, რომ ახალგაზრდობაში, ვლადიმერ ულიანოვთან ნაცნობობის პირველ დღეებში და მათი ერთად ცხოვრების პირველ წლებში ის იყო მშვენიერი, ტანადი რუსი ქალიშვილი, ჰქონდა ნორჩი, ოვალური სახე, ნაზი მოვარდისფრო ლოყები, ფაფუკი ქერა ნაწნავები და იგი მუდამ იპყრობდა ყურადღებას. ის იყო რუსეთის ინტელიგენციიდან გამოსული ერთ-ერთი იმ ქალიშვილთაგანი, რომლებიც მთელი თავისი არსებით რევოლუციას მიენდვნენ და მზად იყვნენ ყოველგვარი გმირობა ჩაედინათ, ოღონდ კი მუშათა და გლეხთა საქმეს გაემარჯვა.

ასეთი იყო ნადეჟდა კონსტანტინეს ასული, როდესაც ის ვლადიმერ ულიანოვმა გაიცნო პეტერბურგში. იგი ამ დროს მუშათა სკოლაში მასწავლებლობდა. ასეთმა კრუპსკაიამ მოხიბლა ლენინი, ასე-

დეკრეტის პროექტი.

თი შეუყვარდა მას. ასეთივე მომხიბვლელი და საყვარელი იყო იგი ლენინისათვის მაშინაც, როცა მძიმე უკურნებელმა სენმა, რომელიც სიკვდილამდე ვერა და ვერ მოიშორა, უცნაურად დაუმახინჯა სახე. ცხოვრების მძიმე ჭაპანს ისინი წლების მანძილზე ერთად ეწეოდნენ, მათი დამოკიდებულება — მუდამ ბედნიერი ცოლ-ქმრის მაგალითი იქნება.

ასე ფიქრობდნენ მეგობრები, რომლებიც იცნობდნენ ულიანოვების ცხოვრებას, ამასვე ამბობდნენ მათი ნათესავებიც. შეუძლებელია ეს უყურადღებოდ დარჩენოდა იმას, ვინც ერთხელ მაინც ყოფილა მათთან სტუმრად, ანდა ორივენი ერთად უნახავს. ამ დამოკიდებულებაში არაფერი არ იყო მოჩვენებითი. ყველაფერი იყო ბუნებრივი. და ყოველივე ეს ძლიერ სიყვარულს, მათ სრულყოფილ ბუნებას, ორმხრივ სულიერ სიჯანსაღეს ემყარებოდა.

ამ სტრიქონების ავტორს ერთხელ შემთხვევა მიეცა ენახა პარიზის წყნარი ქუჩა მარი როზი. ამ ქუჩაზე ერთი ულამაზო სახლის მეორე სართულზე ვლადიმერ ილიას ძესა და ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს დაქირავებული ჰქონდათ პატარა ბინა. ასეთ ბინას საფრანგეთში „სტუდენტურ“ ბინას უწოდებენ. ულიანოვებს ექირათ ორი ოთახი და სამზარეულო-კოლოფი. ფრანგმა კომუნისტებმა ამჟამად ამ ბინაში პატარა მემორიალური მუზეუმი გახსნეს და შეეცადნენ ოთახები ისე მოეწყოთ, როგორც ლენინის დროს იყო. მეგობრების დახმარებით შევძელით გვენახა ის ფრანგი, რომელსაც ახსოვს ვლადიმერ ილიას ძე. ეს კაცი შვილიშვილთან ცხოვრობს და იმდენად დასუსტებულია, რომ ძველი სავარძლიდან წამოდგომის თავიც არა აქვს. მაშინ, როდესაც ლენინი ამ სახლში ცხოვრობდა, მოხუცი ფრანგი — „კონსერჟიეს კუზენი“, არმიიდან ახალი დაბრუნებული იყო და მეეზოვედ მუშაობდა. „რუსი ცოლ-ქმარი“, რომლებსაც მეორე სართულზე ექირათ ბინა, მას კარგად ახსოვს. მან სიამოვნებით გვიამბო, თუ როგორ მიდიოდა „რუსი მუსიე“ ფეხით ან ველოსიპედით საჯარო ბიბლიოთეკაში, მუდამ თავაზიანად ესალმებოდა მას და ეკითხებოდა, როგორ არის საქმეებიო, აინტერესებდა მისი

ღამის რედაქცია. 1921 წელი.

აზრი ამა თუ იმ საკითხზე. რა გადამდებად იცინოდა და როგორ უხაროდა, როცა თანამემამულენი ესტუმრებოდნენ.

— ...მას ძალიან უყვარდა ეს ჩამოსულები! ერთხელ მთხოვა დამეგირავებინა მისი ძველი ვერცხლის საათი და მეყიდა რამდენიმე ბოთლი ლუდი, რომ ჩამოსულ რუს სტუმრებს გამასპინძლებოდა, — იგონებს მოხუცი ფრანგი. — მისი მეუღლე კი იყო ულამაზესი ქალი, ჰქონდა მოხდენილი ტანი, მერე როგორი თავაზიანი იყო. ისინი ძალიან ხელმოკლედ ცხოვრობდნენ. რუსი მუსიე საჯარო ბიბლიოთეკაში დადიოდა ფეხით ან ველოსიპედით, რადგან არ ჰქონდა მეტროს ფუ-

ლი. მაგრამ მაინც იყვნენ ალერსიანი და ერთმანეთი ძალიან უყვარდათ...

ფრანგი იგონებს: ერთხელ დილით, როდესაც ის ქუჩას გვიდა, სადარბაზო შესასვლელთან იპოვა წიგნი, რომელიც მისთვის უცნობ ენაზე იყო დაწერილი. მაშინვე მიხვდა, რომ ეს წიგნი დაეკარგა მეორე სართულზე მცხოვრებ მდგმურს. ეს მდგმური ხშირად ბიბლიოთეკიდან წიგნებით დატვირთული ბრუნდებოდა. მან მიუკაკუნა კარზე. რუსს ძალიან გაუხარდა, წიგნი რომ იპოვეს. მან და მისმა მეუღლემ, „რომელსაც ისეთი ფაფუკი ქერა თმა ჰქონდა და ისეთი დიდი, ნათელი თვალები," მეეზოვე მაგიდასთან დასვეს, სადაც იდგა პატარა რუსული „სადუღარა", როგორც მას ჩვენი მოხუცი ეძახდა. ორივენი თავს ევლებოდნენ, ეკითხებოდნენ რამდენი ნატეხი შაქარი ჩაგიგდოთ ჭიქაშიო, და შემდეგ ორივემ მიაცილეს კიბემდე, „თითქოს მე მეეზოვე კი არა, დიდი ვინმე ვიყავი"...

მოხუცი ფრანგის ეს ალალმართალი მოგონებანი საშუალებას გვაძლევს თვალი გადავავლოთ ლენინის ოჯახს იმ დროს, როდესაც ის და კრუპსკაია ახალგაზრდები იყვნენ და ემიგრაციაში ცხოვრობდნენ. და უნებლიეთ ჩაფიქრდები, რამდენად მომხიბვლელი უნდა ყოფილიყო ეს ოჯახი, თუკი ასე დაამახსოვრდა „კონსერჟიეს კუზენს", რომლის თვალწინ, მარი როზის ქუჩაზე მდებარე სახლში, ამდენი ხალხი შედიოდა და გამოდიოდა!

ძნელი წარმოსადგენია ასე შეხმატკბილებული ცოლ-ქმარი. ეს შეუნელებელი ინტერესი ერთმანეთისადმი, ეს მისწრაფება — ყოველ თავისუფალ წუთს, რომელიც ასე იშვიათად ჰქონდათ ბოლო წლებში — ყოფილიყვნენ მუდამ ერთად, გაეზიარებინათ ერთმანეთისათვის ერთნაირად საინტერესო ახალი ამბები, შეემოწმებინათ გულითად საუბარში ახლად წამოჭრილი აზრები, — ყველაფერი ეს დაიწყო იმ დროიდან, როდესაც ინტელიგენტის ოჯახიდან გამოსულმა ამ ლამაზმა ქალიშვილმა დატოვა დედაქალაქი და დედასთან ერთად გაჰყვა საყვარელ ადამიანს შორეულ ციმბირში, გადასახლებაში, — და დასრულდა მხოლოდ ვლადიმერ ილიას ძის გარდაცვალების შემდეგ.

და მთავარი მათ დამოკიდებულებაში მაინც გულწრფელობაა, პატიოსნება და ბუნებრიობა.

ცხოვრობდნენ ისინი ხელმოკლედ, როგორც ამას ფრანგის ნაამბობი ადასტურებს. ემიგრაციაში ყოფნისას, როგორც ლენინი ხუმრობით იტყოდა ხოლმე, ხშირად ჰქონდათ „დიდი უფულობა“. ეს მაშინ, როცა რაიმე მიზეზით შეწყდებოდა ლენინის ლეგალურ ნაწარმოებთა გამოცემა და ჰონორარს აღარ აძლევდნენ. მაშინ ვლადიმერ ილიას ძე კითხულობდა საჯარო ლექციებს, ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კი შოულობდა გაკვეთილებს, ანდა შინ მიჰქონდა დამქანცველი სამუშაო — საზღვარგარეთული ფირმების სარეკლამო პაკეტებს აწერდა მისამართებს, რომლებიც შემდეგ რუსეთში იგზავნებოდა.

მათ არ ჰყავდათ შინამოსამსახურე. ჩვეულებრივ დიასახლისობდნენ ნადეჟდა კონსტანტინეს ასული და მისი დედა. ამიტომ იყო, რომ ბინის დაქირავებისას მეპატრონეს შეუთანხმდებოდნენ ხოლმე, რომ ქურითაც ესარგებლათ.

ლენინის ბინა

ლენინს თავისი უბრალოება არ დაუკარგავს მას შემდეგაც, რაც საბჭოთა სახელმწიფოს მეთაური გახდა.

ჩვენ უკვე გიამბეთ იმის შესახებ, თუ როგორ დატუქსა ლენინმა მდივანი და სახკომსაბჭოს მმართველი, როდესაც მას უკანონოდ გაუდიდეს ხელფასი. ეს არ იყო არც ჟესტი, არც აღმზრდელობითი მნიშვნელობის ღონისძიება. უბრალოდ, ლენინს ვერ წარმოედგინა ასეთ მძიმე პირობებში რატომ უნდა ეცხოვრა სხვებზე უკეთესად, ან რატომ არ უნდა განეცადა მატერიალური სიმძიმე ისევე, როგორც სხვა მოქალაქეებს, რომლებსაც სათავეში თვითონ ედგა.

ლენინს კრემლში ოთხი ოთახი ეჭირა. აქედან ერთი ოთახი პირადად მას ეკავა, მეორე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, მესამე მარია ილიას ასულ ულიანოვას, რომელიც ძმასთან ცხოვრობდა, მეოთხე კი — გასასვლელი ოთახი სასადილოსა და სასტუმროს მოვალეობას ასრულებდა. ამ ოთახებში იდგა მხოლოდ ის ავეჯი, რაც აუცილებელი იყო ცხოვრებისა და მუშაობისათვის. არაფერი ზედმეტი. არავითარი მორთულობა.

ლენინი ღებულობდა ისეთივე ულუფას, როგორც სახკომის სხვა თანამშრომლები, და სასტიკად ებრძოდა იმ ამხანაგებს, რომლებიც ცდილობდნენ მისი ულუფის გადიდებას ან სხვებისაგან ცოტაოდენ განსხვავებული ულუფის მიცემას. ეს მისი კეთილსინდისიერება, უეჭველად იყო პრინციპიალური და ემყარებოდა იმის შეგნებას, თუ როგორი უნდა იყოს გამარჯვებული მუშათა კლასის ბელადი.

ლენინი თავს არიდებდა ცხოვრებაში ყველაფერს, რაც ცოტათი მაინც წააგავდა კომფორტს. აი ერთი მაგალითი: კრემლს მაშინ კარგად არ ათბობდნენ. ლენინის კაბინეტში ციოდა ხოლმე, და რომ

„რაოდენ გიგანტურია!“ (ლ. ნ. ტოლსტოის წიგნის კითხვისას.)

ი ლ ი ჩ ი. 1922 წელი.

ფეხები არ გაჰყინვოდა, მაგიდის ქვეშ ქეჩა დაუგეს. სახკომის საქმეთა სამმართველოს რომელიღაც მუშაკმა დათვის ტყავი დაუფინა. ერთხელ, როდესაც ლენინი კაბინეტში შევიდა, შენიშნა, რომ მაგიდის ქვეშ ქეჩის ნაცვლად დათვის ტყავი ეგო. წამოენთო: ვინ მოგცათ უფლება, რატომ დამიფინეთ დათვის ტყავი? მაშინ როდესაც მუშათა ოჯახები გაუთბობელ საერთო საცხოვრებელში იყინებიან, საბჭოთა სახკომის თავმჯდომარემ ფეხები დათვის ტყავში გაახვიოს? რისიმე მაქნისია განა ეს ფუფუნება?

და მაგიდის ქვეშ კვლავ ქეჩა დაუფინეს.

რა არის ეს? იქნებ წვრილმანობაა? არა, ეს მხოლოდ ლენინის პრინციპულობის ერთ-ერთი გამოვლინებაა. ეს არის ღრმად შეგნება იმისა, რომ ახალი საზოგადოების ხელმძღვანელი ხალხთან ერთად უნდა იზიარებდეს ჭირსაც და ლხინსაც, სიხარულსაც და მწუხარებასაც, იზიარებდეს ცხოვრების სიმძიმესა და გაჭირვებას. ასეთივე განსაცვიფრებელი არამომთხოვნელობა, უგულებელყოფა ყველაფრის, რაც მატერიალურ მოთხოვნილებას შეეხებოდა, ახასიათებდა აგრეთვე ნადეჟდა კონსტანტინეს ასულს, რომლის თავმდაბლობა სამაგალითო იყო ყველასათვის.

ლენინი და ბავშვები

ლენინს არ ჰყოლია შვილები. შეიძლება ეს მისი ცხოვრების ტრაგედია იყო, ვინაიდან მას უყვარდა ბავშვები. იშვიათად უყვართ ხოლმე საქმეებით ასე დატვირთულ, მუდამ დაკავებულ, გონებრივად მომუშავე ადამიანებს პატარები. ბავშვებს იგი სათუთად ეჭცეოდა, უმალ საერთო ენას გამონახავდა და მათ ნორჩ გულსაც ადვილად დაეუფლებოდა. ინტერესითა და ხალისით ჩაებმებოდა ბავშვებთან თამაშში.

საყოველთაოდ ცნობილია, საბჭოთა კანონმდებლობაში რა ფართოდაა ასახული ლენინის მზრუნველობა ბავშვების, ახალგაზრდობისა და სოციალისტური სახელმწიფოს მომავალი მოქალაქეების მიმართ. ბაგებს, ბავშვთა ბაღებს, სკოლებს, უპატრონობის წინააღმდეგ მებრძოლ კომისიებს — ორი ომისა და ნგრევის მიერ წარმოქმნილ ამ საშინელებას, საყოველთაო სახალხო განათლებას და კომუნისტურ აღზრდას — ყველაფერ ამას ლენინი შეუნელებლად ადევნებდა თვალყურს. ყოველივე ამაზე ზრუნავდა იმ დღეებშიაც, როცა თეთრი ურდოები მოსკოვს უახლოვდებოდნენ, როდესაც უზარმაზარ ქვეყანას ანადგურებდა სიცივე, შიმშილი, პარტახტიანი ტიფი. ეს იყო სახელმწიფოს ბრძენი მეთაურის, მშრომელთა ბელადის მზრუნველობა რევოლუციის ვეტერანთა ჯანსაღი ცვლისადმი, სოციალიზმის ქვეყნის მომავლისადმი.

მაგრამ, გარდა ამ სახელმწიფოებრივი დამოკიდებულებისა, ლენინს ბავშვებისადმი ჰქონდა კიდევ სულიერი, ასე ვთქვათ, პირადი დამოკიდებულება. თანამედროვეთა შორის ეს ყველაზე მეტად დატვირთული ადამიანი თავისუფალ წუთს ხშირად ბავშვებთან ატარებ-

მოთხრობა ბუდიონოველებზე

და. იგი არა ერთხელ დასწრებია ბავშვთა ნაძვის ხეს, რომელიც ეწყობოდა მუშათა და გლეხთა შვილებისათვის. და ამ საახალწლო ნაძვისხის ზეიმზე მიდიოდა არა როგორც საპატიო სტუმარი, არამედ როგორც აქტიური მონაწილე. ლენინი ჩაებმებოდა ხოლმე პატარებთან ერთად ფერხულში, ამბობდა გამოცანებს. მას სიამოვნებას ჰგვრიდა, როდესაც თავსატეხი კითხვებით საგონებელში ჩააგდებდა პატარებს. ბავშვებით გარშემორტყმული იმათზე ნაკლებ როდი ერთობოდა, ანდა თავის პატარა მეგობრებზე ნაკლებ სიამოვნებას როდი იღებდა. ეს იყო კიდევ ერთი მაჩვენებელი მისი ბუნების სიმდიდრისა.

როდესაც ვიგონებთ მისი ცხოვრების ამა თუ იმ ეპიზოდს, შეუძლებელია არ შევჩერდეთ მისი ბიოგრაფიის, შეიძლება ითქვას, ტრაგიკულ ფურცლებზე. რამდენიმე ხნით ადრე სიკვდილამდე, დაუნდობელი ავადმყოფობით დაუძლურებული, რაც გამოწვეული იყო მუდმივი ზეადამიანური გონებრივი დაძაბულობით, იგი თითქმის გაუნძრევლად იწვა. შუა ზამთარში ლენინმა უკეთესობა იგრძნო. მისი ორგანიზმი იფერფლებოდა, მაგრამ ბუმბერაზი ტვინი ებრძოდა შეჭიდებულ სკლეროზს; არ დაუკარგავს მეხსიერება; აზროვნების უნარი.

ახალი წელი ახლოვდებოდა. ამ ხანებში გორკაში ცხოვრობდა ავადმყოფობის გამო საქმეებს მოწყვეტილი ლენინი, რომელმაც გადაწყვიტა დაედგა ნაძვისხე იქაური გლეხის ბავშვებისათვის. შინაურები და მეგობრები წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ ვლადიმერ ილიას ძე თავისას არ იშლიდა.

და აი, სახლში გაჩნდა ნაძვისხე. ხასხასა წიწვებზე ასხდა თოვლის ბრჭყვიალა წინწკლები. იქაურობას სასიამოვნო სურნელი მოეფინა... დანიშნულ დროს პატარა სტუმრებიც მოვიდნენ. ბავშვებმა ქუდები, არმიაკები, ჟაკეტები შესასვლელში დატოვეს, აქვე დატოვეს თავიანთი მორცხვობაც და შეცვივდნენ ოთახში, რომელიც წკრიალა, მხიარული ხმებით აავსეს. და ეს ხმები ისეთივე უმანკო და წმინდა იყო, როგორც თვით ამ ნაძვისხის სუნი...

ტელეფონთან. 1922 წელი.

ამ დროს ოთახში, სადაც ვლადიმერ ილიას ძე იმყოფებოდა, მას უკანასკნელი „შეტაკება“ ჰქონდა ნადეჟდა კონსტანტინეს ასულთან, მარია ილიას ასულთან, იმ საღამოს სტუმრად ჩამოსულ მეგობრებთან და თავის მკურნალ ექიმებთან. ყველანი მეგობრულად ურჩევდნენ ავადმყოფს, დარბაზში ნუ გამოჩნდებიო: ხმაური, მოძრაობა,

მღელვარება — ყოველივე ეს სასტიკად ჰქონდა აკრძალული, მაგრამ ლენინი ვერ მოდრიკეს. მან აიძულა ახლობლები სავარძლით გაეყვანათ დარბაზში, სადაც ნაძვისხე იდგა და ნორჩი სტუმრები უკვე მხიარულობდნენ.

ლენინს მაშინვე გარსშემოერტყნენ ბავშვები, შემოერტყნენ კი არა, შემოეხვივნენ. როდესაც მისი და მარია და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული შეეცადნენ ბავშვებისაგან ეხსნათ იგი, ლენინი საშინლად გაბრაზდა. ვინც იმ საღამოს ლენინი ნახა, ალბათ სამუდამოდ დაამახსოვრდა ამ უკვე მომაკვდავი ადამიანის მოჭუტულ თაფლისფერ თვალთა ალერსიანი ციმციმი. სენით დაუძლურებულს, თავის ტკივილებით განაწამებს, მაინც ატკბობდა ბავშვების მხიარული ჟრიამული, ბავშვებისა, მის გარშემო რომ ფუსფუსებდნენ...

აი, ასეთი წარმოგვიდგება ვლადიმერ ილიას ძე ლენინი ნათესავთა და ახლობელთა მოთხრობებიდან, მეგობართა და თანამებრძოლთა მოგონებებიდან, საბჭოთა და უცხოელ ადამიანთა იმ სტატიებიდან, რომელთაც ბედნიერება ჰქონდათ შეხვედროდნენ მას, ესაუბრათ მასთან, მოესმინათ მისი გამოსვლები. აი, ასეთი უბრალო იყო ლენინი, ჩვენი ბელადი, მასწავლებელი და მეგობარი, რომლის ხსოვნას ყოველი ადამიანი ინახავს გულში.

და სავსებით სამართლიანად ამბობს ბოლშევიკური გვარდიის ერთ-ერთი უძველესი ვეტერანი გ. მ. კრჟიჟანოვსკი, რომელიც ლენინს სიყრმიდანვე იცნობდა: „თუ შეგვეკითხებით რომელიმე ჩვენგანს, იმ მოხუცებს, რომლებიც ვლადიმერ ილიჩთან უშუალო ურთიერთობაში ვიყავით, ჰქონდა თუ არა მას რაიმე ისეთი თვისება, რომელიც შეიძლებოდა უკეთესით შეცვლილიყო, ყველანი ერთსულოვნად გიპასუხებთ: აი, როდისაა ყოველგვარი „უკეთესი“ ჭეშმარიტად კარგის მტერი“.

ვ. ი. ლენინის გარდაცვალება

გარდაიცვალა ლენინი. როგორც ჯარისკაცს საგუშაგოზე — სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე არ შეუწყვეტია მოღვაწეობა.

ავადმყოფობამ იგი დააძაბუნა, მაგრამ სნეულებას ნებისყოფამ აჯობა და მძლავრმა გონებამ არ შეწყვიტა მოღვაწეობა.

დილაობით ლენინი გაზეთებს ათვალიერებდა, არჩევდა სტატიებს, რომელიც მისთვის უნდა წაეკითხათ.

აინტერესებდა მათი შინაარსი და თანაც — შესაძლოა ეს დაუჯერებლადაც მოგვეჩვენოს — უკანასკნელ დღემდე სწავლობდა მარცხენა ხელით წერას, მარჯვენას ვერ ამოძრავებდა, დამბლა ჰქონდა დაცემული.

ეს ზეადამიანური მოღვაწეობა შეწყდა მხოლოდ ტვინის სრული დაზიანების შედეგად, შემდეგ, როცა ექიმებმა გაკვეთეს, ისინი, ყველაზე გამოცდილი მედიკები, განცვიფრდნენ — ტვინის სისხლძარღვები იმდენად ჩაკირულიყო, რომ როცა პინცეტი დაჰკრეს, ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს



ი ლ ი ჩ ი. 1923 წელი.

საყვარელ სკამზე. გორკაში.

გორკაში.

ვ. ი. ლენინი 1923 წელს.

ქვას უკაკუნებენო. არ იკვებებოდა ტვინის ზოგიერთი უბანი. ექიმები გაოცებულები იყვნენ. ცდილობდნენ გაეგოთ, ადამიანმა, რომელსაც ტვინის მნიშვნელოვანი ნაწილი ასე დაზიანებოდა, როგორ შესძლო უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ასეთი ღრმა და საღი აზროვნება! გიგანტური ტვინი. უდრეკი ნებისყოფა. უდიდესი ინტელექტი.

ლენინი გარდაიცვალა. შავ არშიაშემოვლებული გაზეთები იუწყებოდნენ, რომ კაცობრიობამ მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარინდებულ, დედასავით დამწუხრებულ ქვეყანას, მთელს მსოფლიოს აუწყა რადიომ ეს ამბავი. ქალაქები და სოფლები ძაძებით შეიმოსა, მწუხარებამ თითქოს დაანახშირა წითელი დროშები.



ზღვა ხალხი მოედინება..

დაკრძალვის დროს საყვირები აგუგუნდა. ყველა საბჭოთა ქალაქში, ყველა სოფელში, მოედნებზე, ხალხის ტევა არ იყო. ყინულის ორთქლის ბოლქვები ზევითკენ მიიწევდა. ცრემლები ბაგეებზე, წვერებზე, სახის ნაოჭებში ჩერდებოდნენ, მერე ქალების თავსაფრებზე ცვიოდნენ და მაშინვე ყინულის ბურთულებად იქცეოდნენ.

მაგრამ ვერავინ გრძნობდა ვერც სიცივეს, ვერც სუსხიანი ქარის ქროლვას, ყველას ეგონა, რომ მიასვენებდნენ არა მარტო ბელადს, ვლადიმერ ილიას ძე ლენინს, არამედ საბჭოთა ადამიანი სამუდამოდ ეთხოვებოდა საყვარელ მამას.

მაგრამ სიკვდილი ვერ მბრძანებლობს ისეთებზე, როგორიც ლე-

ბელადთან გამოთხოვება. 1924 წელი.

ნინია. იგი კვლავ ცოცხლობს მილიონთა გულებში, კეთილშობილურ ერთგულ გულებში, მის სახეს არამცთუ ბურუსი ფარავს, რაც დრო გადის ცოცხლდება, ნათელი ეფინება. ლენინი კვლავ ცხოვრების მასწავლებელია საბჭოთა ხალხისათვის, ჩვენი ძმებისათვის — სოციალისტური ქვეყნების ხალხებისათვის, სადაც ზეიმობს ლენინიზმი. ლენინის სახე კვლავ იმედის შუქად ანთია კაპიტალისტური და კოლონიალური ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლ მშრომელთა გულებში.

ლენინი კვლავ ცოცხლობს საბჭოთა ხალხის დიად საქმეებში, ხალხისა, რომელიც ანხორციელებს ლენინის მითითებებს და აშენებს კომუნიზმს, რომელსაც ლენინმა მიუძღვნა მთელი თავისი სიცოცხლე. იგი კვლავ ცოცხლობს კომუნისტური პარტიის დიად და კეთილშობილურ საქმეებში, მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის კოლექტიურ ხელმძღვანელობაში, რომელსაც კომუნისტები, მთელი საბჭოთა ხალხი მიჰყავს ლენინური გზით ულენინოდ.

ლენინი ცოცხლობს მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის ურყევ მონოლითურობაში, ხალხისა, რომელიც უდიდესი გამოცდის წლებში ირაზმებოდა ლენინის მიერ შექმნილი და გამობრძმედილი პარტიის ირგვლივ, და კიდევ უფრო მტკიცდებოდა და იწრთობოდა.

ლენინის ცოცხალი, ღრმა აზრი, რომელიც მის შრომებშია აღბეჭდილი, მუდამ გზას გაუნათებს კაცობრიობას ნათელი მომავლისაკენ. იგი, როგორც ძვირფასი რადიუმი, ასხივებს, წარმოქმნის ენერგიას, ეს ენერგია კი მუხტავს მილიონობით ადამიანებს წინსვლისათვის, დიადი საქმეებისათვის.

ლენინის ცხოვრება მუდამ სამაგალითოდ დარჩება ყველა კომუნისტისათვის, ყველა რევოლუციონერისათვის, ყველასათვის, ვისაც სურს მიუახლოვდეს კომუნისტური დროის ადამიანის იდეალს.

ცხოვრებაში ახლად ფეხშედგმულ ჭაბუკებსა და ქალიშვილებს არ შეიძლება მივცეთ იმაზე უკეთესი რჩევა, ვიდრე შეისწავლონ ლენინის შემოქმედება, იკითხონ მისი წიგნები, გაეცნონ მის ცხოვ-



რებას, მთლიანად აითვისონ ის უთვალავი და დაუშრეტელი იდეური სიმდიდრე, რომელიც დაგვიტოვა ლენინმა თავის შრომებში.

ჩვენ დღესაც ვახსენებთ ლენინს როგორც ცოცხალ ადამიანს და ვამბობთ:

— გაუმარჯოს ლენინს!

იგი ცოცხალია და მარად იცოცხლებს მშრომელი კაცობრიობის გიგანტურ გულში.

სარჩევი

1. ამ წიგნის მკითხველს . . . 5
2. ლენინის სახე . . . 9
3. მასებისადმი რწმენა . . . 13
4. ასწავლო მასებს და ისწავლო მასებისაგან . . . 18
5. მშრომელებთან ურთიერთობა . . . 22
6. ლენინთან მიღებაზე . . . 24
7. ლენინური „ბარომეტრი" . . . 34
8. ადამიანებისადმი გულისხმიერება . . . 38
9. ორგანიზებულობა პუნქტუალობა შრომისმოყვარეობა . . . 48
10. ლენინი-ორატორი . . . 56
11. ლენინის უბრალოება . . . 61
12. ადამიანი-მაგნიტი . . . 66
13. პრინციპულობა. შეურიგებლობა . . . 70
14. მოვალეობის ადამიანი . . . 74
15. ზეადამიანური ადამიანი . . . 79
16. მხატვრული ლიტერატურის სიყვარული . . . 86
17. რევოლუციური ოპტიმიზმი . . . 90
18. ლენინის მეუღლე და მეგობარი . . . 96
19. ლენინის ბინა . . . 102
20. ლენინი და ბავშვები . . . 105
21. ვ. ი. ლენინის გარდაცვალება . . . 110